



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა  
მეორე კურსის სტუდენტი  
ნუგზარ კოჭლაშვილი

თანამონაწილეობისა და თანამსრულებლობის გამიჯვნის ცალკეული პრობლემატური  
საკითხები სისხლის სამართალში

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი  
პროფესორი: მალხაზ ლომსაძე

## სარჩევი

1. შესავალი	3-4
2. ძირითადი ნაწილი	4
2.1. ქართული კანონმდებლობის ანალიზი	4-5
2.1.2. საერთაშორისო ხელშეკრულებების ანალიზი	5-6
2.1.3. ამსრულებლობა და თანამონაწილეობა გერმანული და ქართულ სისხლის სამართალში	6-7
2.2. თანამონაწილეობის ცნება	7-10
2.2.1. თანაამსრულებლობის ობიექტური მხარე	10-12
2.2.2. თანაამსრულებლობის სუბიექტური მხარე	12-13
2.2.3. მიზეზობრივი კავშირი თანაამსრულებლობის დროს	13-14
2.2.4. ბრალი თანაამსრულებლობისას	14-15
2.3. თანამონაწილეობის ცნება	15-17
2.3.1. თანამონაწილეობის ობიექტური მხარე	17-19
2.3.2. თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე	19-21
2.3.3. მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილეობის დროს	21-22
2.3.4. ბრალი თანამონაწილეობის დროს	22-23
2.4. ამსრულებლის ექსცესი	23-24
2.5. თანაამსრულებლობით და თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დასჯადობა	24-26
2.6. თანამონაწილეობა დანაშაულში, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება	26-27
2.7. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა თანამონაწილეობით და თანაამსრულებლობით ჩადენილ დანაშაულებში	28-29
2.8. თანამონაწილეობა და თანაამსრულებლობა სხვა ქვეყნების სამართლის მიხედვით	29-31
2.9. თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის გამიჯვნა ქართულ სისხლის სამართალში	31-33
3. თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის გამიჯვნა – სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა	33-44
4. თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის თეორიები	44
4.1. სუბიექტური თეორია	44
4.1.2. ფორმალურ-ობიექტური თეორია	45
4.1.3. მატერიალურ-ობიექტური თეორია	45-46
5. მომზადების და მცდელობის გამიჯვნა ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის დროს	46-47
6. თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის გამიჯვნის პრობლემის გადაჭრის გზები	47
7. დასკვნა	47-49
ბიბლიოგრაფია	50-52

## 1. შესავალი

თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის გამიჯვნის პრობლემა მეტად აქტუალურია როგორც ქართულ სისხლის სამართალში, ისე განვითარებული ქვეყნების სისხლის სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში. საკითხის აქტუალურობაზე მიუთითებს ქართულ და უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში საკითხის ირგვლივ გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებები ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და იქ გამოთქმული მოსაზრებები თანაამსრულებლობის და თანამონაწილეობის სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტების და მათი გამიჯვნის პრაქტიკულ პრობლემებთან დაკავშირებით.

თანამონაწილეობის და თანაამსრულებლობის გამიჯვნის საკითხს ძალზედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია რომ ხსენებულ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელის დანიშვნის დროს, ვინაიდან თანაამსრულებლობით და თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის ჩადენის დროს სისხლის სამართლის კანონმდებლობა სხვადასხვა სასჯელს აწესებს, რის გამოც მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს და შეფასდეს პირის მიერ ჩადენილი ქმედება, რათა სწორად განისაზღვროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა. რასაკვირველია, აღნიშნული მჭიდრო კავშირშია სასჯელის მიზნის მიღწევასთან, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ბუნებრივია ქმედების სწორი შეფასების გარეშე და არასწორი სასჯელის გამოყენებით წარმოუდგენელია კანონმდებლობით განსაზღვრული სასჯელის მიზნების მიღწევა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, მოხდეს თანაამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნის ცალკეული პრობლემების წარმოჩენა და ანალიზი როგორც იურიდიული ლიტერატურის, ისე სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მეშვეობით. ნაშრომში მოყვანილი პრობლემატური საკითხების სწორი გადაწყვეტა ემსახურება სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრინციპების რეალიზებას. თანამედროვე სისხლის სამართალში ძალიან მნიშვნელოვანია ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასება – კვალიფიკაცია, რაც დაკავშირებულია კანონიერების პრინციპთან, რომელიც გულისხმობს როგორც კონკრეტული ქმედების ფორმალურ შესაბამისობას სისხლის სამართლის კანონთან, ისე მის სამართლებრივ შეფასებას.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს პრობლემური საკითხების განხილვის შედეგად, ავტორისეული მოსაზრებების გათვალისწინებით, განხილულ იქნეს თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის პრობლემატური საკითხები და მათი გადაჭრის გზები.

ნაშრომში გამოყენებული იქნება კვლევის შედეგებით–სამართლებრივი, ფორმალურ–დოგმატური, სისტემური და იურიდიულ–განმარტებითი მეთოდები.

ნაშრომში მიმოხილული იქნება საქართველოს კანონმდებლობა ამსრულებლობისა და თანაამსრულებლობის შესახებ. კერძოდ განხილული იქნება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამ კუთხით. ნაშრომში მოხდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ე.წ. „რომის სტატუტის“ მიმოხილვა, რომელიც ძალიან საინტერესოა იმ კუთხით, რომ მასში მოცემულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ინდივიდუალობის საკითხი, რაც მნიშვნელოვანია თანამონაწილეობისა და თანამსრულებლობის გამიჯვნის პრაქტიკული პრობლემის ჭრილში.

ნაშრომში ყურადღება გამახვილდება განვითარებული ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხებზე. მოხდება სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში სისხლის სამართლის ამ ინსტიტუტების ძირითადი და საერთო მახასიათებლების განხილვა ასევე, მოცემული იქნება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეები საქართველოს სასამართლოს პრაქტიკიდან.

## **2. ძირითადი ნაწილი**

### **2.1. ქართული კანონმდებლობის ანალიზი**

თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 თავი განმარტავს ამსრულებლობის ცნებას. ასევე არეგულირებს ამსრულებლის და თანამონაწილეობის სახეებს. კოდექსი განმარტავს ამსრულებლის და თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის საფუძვლებს. სისხლის სამართლის კოდექსში თანამონაწილის და თანაამსრულებლის პასუხისმგებლობის საკითხი ცალკეა გამოყოფილი, რაც მნიშვნელოვანი არგუმენტია იმისათვის, რომ თანამონაწილისა და თანამსრულებლობის გამიჯვნას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ვინაიდან სწორედ აღნიშნული ნორმა გვაძლევს იმის საფუძველს დავადგინოთ განსხვავება თანამონაწილეობასა და თანაამსრულებლის პასუხისმგებლობას შორის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული, ან სხვასთან ( თანაამსრულებელთან) ერთად მონაწილეობდა მის ჩადენაში. აგრეთვე ის, ვინც

დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. (შუალობითი ამსრულებლობა).<sup>1</sup> პროფესორ ოთარ გამყრელიძის აზრით, თანაამსრულებლობის დროს არ არის აუცილებელი ყველა თანაამსრულებელი ასრულებდეს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას მთლიანად, არამედ საკმარისია, თითოეულმა მათგანმა შემადგენლობის ერთი ელემენტი მაინც შეასრულოს.<sup>2</sup>

### 2.1.2. საერთაშორისო ხელშეკრულებების ანალიზი

საერთაშორისო კანონმდებლობის ანალიზისას მეტად მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების ე.წ. „რომის სტატუტის“ განხილვა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის ზეგავლენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლიდან გამომდინარეობს უშუალო ამსრულებლის არაპირდაპირი თანაამსრულებლობა, როცა უშუალო ამსრულებელი დანაშაულს სჩადის სხვა, არაპირდაპირ თანაამსრულებელთან ერთად.<sup>3</sup>

„რომის სტატუტის“ 25-ე მუხლი არის მეტად საინტერესო, ვინაიდან იგი ეხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ინდივიდუალობის საკითხს. აღნიშნული მუხლის თანახმად, სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენი პირი, ამ წესდების შესაბამისად, პასუხს აგებს და დაისჯება, თუ ეს პირი: ა) ჩაიდენს აღნიშნულ დანაშაულს პირადად, სხვა პირთან ერთად ან სხვა პირის მეშვეობით, მიუხედავად იმისა, ეკისრება თუ არა ამ სხვა პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა; ბ) უხელმძღვანელებს, წააქეზებს ან ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას, რომელიც ფაქტიურად დამთავრდა ან რომლის მცდელობასაც ჰქონდა ადგილი; გ) აღნიშნული დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით დახმარებას უწევს, აქეზებს ან სხვაგვარად ხელს უწყობს მის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას, მათ შორის მისი ჩადენისთვის საშუალებათა მიწოდებით; დ) სხვაგვარად ხელს უწყობს საერთო მიზნით მოქმედი პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას, ასეთი ხელის შეწყობა უნდა იყოს განზრახი და მიზნად ისახავდეს ჯგუფის დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებას ან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებას, თუ ასეთი მიზანი ან საქმიანობა მოიცავს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩადენას, ან ხორციელდებოდა იმის წინასწარი შეცნობით, რომ ჯგუფი მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენას; ე) გენოციდის დანაშაულის შემთხვევაში პირდაპირ და საჯაროდ მოუწოდებს

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი

<sup>2</sup> იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, 2013, გვ. 261

<sup>3</sup> იხ. გ. დგებუაძე, არაპირდაპირი თანაამსრულებლობის დოქტრინა საერთაშორისო სისხლის სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2012, N3(34), გვ. 91-101

სხვებს გენოციდის დანაშაულის ჩადენისთვის; ე) ეცდება დანაშაულის ჩადენას ისეთი მოქმედებით, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის ჩადენისკენ მიმართულ მნიშვნელოვან ღონისძიებას, თუ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი პირის მიზნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამასთან, პირი, რომელიც უარს იტყვის დანაშაულის ჩადენის მცდელობაზე ან სხვაგვარად ხელს შეუშლის დანაშაულის ბოლომდე მიყვანას, არ დაისჯება დანაშაულის მცდელობისათვის ამ წესდებით, თუ იგი სრულად და ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულებრივ განზრახვაზე<sup>4</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის აღნიშნული მუხლი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხსენებულ მუხლში საუბარია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხზე და ისეთ შემთხვევაზე, როდესაც დგება დანაშაულის ჩამდენი პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა.

### 2.1.3. ამსრულებლობა და თანამონაწილეობა გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალში

თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია გერმანული და ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის შედარების კუთხით, ვინაიდან ორივე ქვეყნის სამართლის სისტემაში ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები. ამ კუთხით გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალ ბევრი საერთო საწყისები გააჩნია. თანამონაწილეობისა და თანამსრულებლობის საკითხის გამიჯვნასთან მიმართებით გერმანული სისხლის სამართლის დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა ერთმანეთს უპირისპირდება. სასამართლო პრაქტიკის და გერმანულ მეცნიერთა ნაწილის აზრით, ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის სურვილი გამომდინარეობს კუმულაციურად ქმედების შედეგისადმი დაინტერესების, დაინტერესების, თანამონაწილეობის როლის მნიშვნელობის განსაზღვრის და ქმედებაზე ბატონობის ხარისხის მიხედვით. ცნობილი გერმანელი მეცნიერი კლაუს როქსინი ქმედებაზე ბატონობის თეორიას მთვარ უპირატესობას ანიჭებს.<sup>5</sup> აღნიშნული თეორიის მიხედვით, ამსრულებელი არის ის, ვინც როგორც ცენტრალური ფიგურა მისი სურვილის მიხედვით მართავს ქმედების შემადგენლობის განხორციელებას, ხოლო თანამონაწილეა ის, ვინც ქმედების შემადგენლობის განხორციელებისკენ უბიძგებს ამსრულებელს ან ხელს უწყობს მას დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში.

<sup>4</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 25-ე მუხლი

<sup>5</sup> Roxin Claus Täterschaft und Tatherrschaft, 9. Aufl. 2015, S. 107 ff.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამსრულებლობას უკავშირებს ქმედების ჩადენას ობიექტურად, სადაც დანაშაულებრივი ქმედების შედეგის მიმართ ან სუბიექტურ განწყობებს არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება<sup>6</sup>.

როგორც გერმანული, ისე ქართული სისხლის სამართალი თანამონაწილეობის შემთხვევაში ადგენს, რომ დამხმარე ან წამქეზებელი სხვა პირს გაზრახ უბიძგებს ან ეხმარება განზრახვით ჩასადენი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისკენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თანამონაწილეობის ორივე ფორმა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ძალიან ჰგავს ერთმანეთს და ბევრი საერთო ნიშნით ხასიათდება. განსხვავება არის ის, რომ გერმანულ სისხლის სამართალში არ არსებობს ორგანიზატორის სამართლებრივი ფიგურა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამსრულებლობა და თანამონაწილეობა გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალში ძირითადად მსგავსად რეგულირდება და ორივე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში არსებობს შუალობითი ამსრულებლობის გამოყენების შესაძლებლობაც. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობა და დოგმატიკა არ იცნობს ორგანიზატორის სამართლებრივ ფიგურას, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით დანაშაულის თანამონაწილეა.<sup>7</sup>

## 2.2. თანამსრულებლის ცნება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი განსაზღვრავს ამსრულებლის საკანონმდებლო დეფინიციას, რომლის მიხედვითაც, ამსრულებელი არის პირი, რომელმაც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული (ერთპიროვნული ამსრულებლობა), აგრეთვე ის, ვინც სხვა პირთან ერთად მონაწილეობდა დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში (თანამსრულებლობა). ამდენად, ხსენებული ნორმის მიხედვით შესაძლებელია არსებობდეს დანაშაულის როგორც უშუალო, ერთპიროვნული ამსრულებელი, რომელიც თავად მთლიანად ახორციელებს ქმედების შემადგენლობას, ასევე დანაშაულებრივ ქმედებას შესაძლებელია ჰყავდეს თანამსრულებელი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის ანალიზის შედეგად შეიძლება გამოვყოთ ამსრულებლის სამი სახე: უშუალო ამსრულებლობა, თანამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა.

<sup>6</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი

<sup>7</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

უშუალო ამსრულებელი არის პირი, რომელიც დამოუკიდებლად ასრულებს ქმედების მთლიან შემადგენლობას. თანამსრულებლობა გულისხმობს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობას პირი ასრულებს სხვა პირთან ერთად.

ამსრულებლის ერთ-ერთი სახეა შუალობითი ამსრულებლობა, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლიდან. კერძოდ, შუალობითი ამსრულებელია პირი, რომელიც დანაშაულს სჩადის იმ პირის მეშვეობით, რომელსაც არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო. როგორც პროფესორი ოთარ გამყრელიძე განმარტავს, „შუალობითი ამსრულებლობა პირდაპირ კავშირშია თანამონაწილეობის ცნებასთან“. ზემოთ დავასკვნით, რომ თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია, რომ ამსრულებლის გარეშე არ არის თანამონაწილეობა“.<sup>8</sup>

შუალობითი ამსრულებლობის ინსტიტუტის განხილვისას მნიშვნელოვანია მოხდეს მისი წამქეზებლის, როგორც თანამონაწილის ერთ-ერთი სახისგან განსხვავების ანალიზი. პროფესორ თინათინ წერეთლის აზრით, წამქეზებლისგან შუალობითი ამსრულებელი იმით განსხვავდება, რომ წამქეზებლის მიერ შეგულიანებული პირი შეგნებულად მოქმედებს და თვით არის თავისი მოქმედების ბატონ-პატრონი, ხოლო „ცოცხალი იარაღი“, რომელსაც შუალობითი ამსრულებელი იყენებს, მართლაც რომ „ბრმა იარაღი“. მისი მოქმედება ზოგჯერ ფიზიკურ ძალთა მოქმედებას შეიძლება გაუთანაბრდეს, ამ მოქმედების ბატონ-პატრონი „იარაღი“ კი არ არის, არამედ „შემგულიანებელია“, რომელიც სწორედ ამიტომ თვით ითვლება ამსრულებლად და პასუხისმგებელ პირად“.<sup>9</sup>

სისხლის სამართალში არსებობს თანამონაწილეობის ე.წ. რთული ფორმა, რაც გულისხმობს თანამონაწილეობას როლების განწილებით. ზოგადად, თანამონაწილეები არიან ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე, რაც შეეხება უშუალო თანამსრულებელს, როგორც უკვე აღინიშნა იგი არის პირი რომელიც დამოუკიდებლად თვითონ ახორციელებს კონკრეტული დაშაულის შემადგენლობას. ამდენად, თანამსრულებლობა არის სახეზე, როდესაც რამდენიმე პირი უშუალო მონაწილეობას იღებს დაშაულის განხორციელებაში<sup>10</sup>.

აქედან გამომდინარე, ამსრულებელი არის პირი რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას მარტო, ხოლო თანამსრულებლობის დროს დამნაშავე მოქმედებს დამოუკიდებლად, მაგრამ იგი დანაშაულის შემადგენლობას უკვე სხვა პირთან ერთად ახორციელებს არა როგორც თანამონაწილე, არამედ როგორც

<sup>8</sup> იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, პირველი ტომი, 2011, გვ. 190

<sup>9</sup> თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ.154

<sup>10</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 141



თანაამსრულებელი. აქედან გამომდინარე, თანაამსრულებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით და ქმედების კვალიფიკაცია არ საჭიროებს დამატებით სსკ-ის 25-ე მუხლზე მითითებას.

თანაამსრულებლობის საკითხთან მიმართებით საინტერესოა მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით თანაამსრულებლობის საკითხი. აღნიშნული თეორია სათავეს იღებს გერმანული სისხლის სამართლიდან, რომელიც უკვე შემდეგ გავრცელდა სხვა ქვეყნებში. ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის გაგება გულისხმობს იმას, რომ ამსრულებელია ყველა ის პირი, ვინც დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას ესწრება. აღნიშნული მიდგომა ჩამოაყალიბა ცნობილმა მეცნიერმა კლაუს როქსინმა, რასაც ეწინააღმდეგება გერმანელი სისხლის სამართლის დოგმატიკოსთა ერთი ნაწილი.<sup>11</sup>

აღნიშნულ მეცნიერთა აზრით, ამსრულებელი ქმედებაზე ბატონობს, ქმედების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა და მის მსვლელობას თავად განსაზღვრავს, ხოლო თანაამსრულებელი ქმედების შემადგენლობის განხორციელებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს<sup>12</sup>.

ამსრულებლობის დროს, პირი საკუთარი ძალებით და გონებით უშუალოდ ახორციელებს ქმედების შემადგენლობას, ხოლო თანაამსრულებლობის დროს იგი მოქმედებს სხვა პირთან ერთად, მაგრამ მას აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია, ხოლო შუალობითი ამსრულებლობის დროს პირი შეიძლება საერთოდ არ იყო დანაშაულის ჩადგენის ადგილას, მაგრამ ის ბატონობს სხვა პირზე, უშუალო ამსრულებელზე და სწორედ მის ნებაზე ბატონობით სჩადის დანაშაულს.<sup>13</sup>

არის ისეთი შემთხვევებიც როდესაც სახეზე არ გვაქვს ქმედებაზე ბატონობა. ასეთ დროს მნიშვნელოვანია სიღრმისეულად მოხდეს თანაამსრულებლობის ინსტიტუტის ძირითადი მახასიათებლების განხილვა.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ავტორთა სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. პროფესორ ოთარ გამყრელიძეს აზრით, თანაამსრულებლობა არის არსებითად ამსრულებლობა და იგი სახეზე იქნება იმ შემთხვევაში თუ პირი დანაშაულის შემადგენლობას ნაწილობრივ მაინც განახორციელებს.<sup>14</sup> პროფესორ თინათინ წერეთლის აზრით, თუ პირი დანაშაულის

<sup>11</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 154

<sup>12</sup> იხილეთ იქვე

<sup>13</sup> თანაამსრულებლობის დასაბუთება მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2016, გურამ ნაჭყებია –75, საიუბილეო კრებული, ავტორი ანრი ოხანაშვილი, გვ.270

<sup>14</sup> იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, 2013, გვ. 262

შემადგენლობას არ ახორციელებს თავად, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს თანაამსრულებლად.<sup>15</sup>

პროფესორ მერაბ ტურავა კი თანაამსრულებელთა პასუხისმგებლობის დასაბუთებას ე.წ. ფუნქციონალური თეორიით იზიარებს და მისი შეხედულებით, აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ქართული სასამართლო პრაქტიკა და ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც „ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული (უშუალო ამსრულებელი) ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში“.<sup>16</sup>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა პროფესორ ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხის მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, თანაამსრულებელი შეიძლება იყოს ისეთი პირიც, რომელიც შესაძლოა დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ არ ახორციელებდეს, მაგრამ გადამწყვეტ როლს ასრულებდეს ქმედების განხორციელების პროცესში.<sup>17</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უფრო მართებულია პროფესორ ტურავას და მჭედლიშვილი-ჭედრიხის მოსაზრებები, ვინაიდან გამომდინარეობს კანონის მიზნიდან, რასაც პრაქტიკაში საგამოძიებო ორგანოების და სასამართლოს მხრიდან სამართალშეფარდების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

### 2.2.1. თანამსრულებლობის ობიექტური მხარე

სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში განიხილავენ თანამონაწილეობას ვიწრო და ფართო გაგებით. თანამონაწილეობა ვიწრო გაგებით გულისხმობს რთულ თანამონაწილეობას და როლების დანაწილებას (ორგანიზატორი, წამქეზებელი დამხმარე). დანაშაულის თანამონაწილე დანაშაულის შემადგენლობას თავად არ ასრულებს.

<sup>15</sup> იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, მეორე ტომი გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2007, გვ.135

<sup>16</sup> იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 337

<sup>17</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 147

შემადგენლობას ახორციელებს მხოლოდ ამსრულებელი, ხოლო დანარჩენები არიან ამსრულებლის მოქმედების მონაწილენი. რაც შეეხება თანაამსრულებლობას, ის ფართო აზრით გულისხმობს თანამონაწილეობასაც.<sup>18</sup> აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თანაამსრულებლობის დროს არ ხდება როლების დანაწილება. სწორედ ამიტომ მას უწოდებენ მარტივ თანამონაწილეობას.

თანაამსრულებლობის ცნებას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა პირდაპირ არ განსაზღვრავს, სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლში მოცემულია მხოლოდ უშუალო ამსრულებლის ცნება აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში თანაამსრულებლად მიიჩნევა პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს განზრახი დანაშაულის ჩადენაში.<sup>19</sup> ვინაიდან თანამსრულებლობა გულისხმობს ქმედების შემადგენლობის განხორციელებას, საჭიროა იმ საკითხის გარკვევა თუ შემადგენლობის რა ნაწილს უნდა ასრულებდეს თითოეული მათგანი. როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში აღიარებულია, რომ ყოველი თანაამსრულებელი უნდა ასრულებდეს დანაშაულის შემადგენლობას სრულად ან ნაწილობრივ მაინც. პრაქტიკაში არის ისეთი სახის დანაშაულები, როგორცაა მაგალითად მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება, გაუპატიურება და სხვა, სადაც ძალადობა ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია, თანაამსრულებლობის განსახორციელებლად საკმარისია ამ ნიშნის არსებობა.<sup>20</sup>

თანაამსრულებლობა სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით.<sup>21</sup> თანაამსრულებლობა შესაძლებელია განხორციელდეს შერეული უმოქმედობის დროს, რაც გულისხმობს იმას, რომ ის პირები, რომლებსაც გააჩნიათ სამართლებრივი გარანტის ფუნქცია, დანაშაულებრივ შედეგს იწვევენ უმოქმედობით.<sup>22</sup>

ქართულ სისხლის სამართალში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ რამდენადაა შესაძლებელი თანაამსრულებლობა წმინდა უმოქმედობის დროს. თინათინ წერეთელი თანაამსრულებლობას შესაძლებლად თვლის როგორც შერეული, ისე წმინდა უმოქმედების დროს.<sup>23</sup> მისი აზრით, ყველა ისეთი სახის დანაშაულში, რომელიც მოვალეობის შეუსრულებლობაში გამოხატება, თანამონაწილეობა შესაძლებელია.

<sup>18</sup> იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, 2013, გვ. 261

<sup>19</sup> იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 132

<sup>20</sup> იხ. ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, , გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1974, გვ. 109

<sup>21</sup> იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 141

<sup>22</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 161

<sup>23</sup> იხ. იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ. 141

ოთარ გამყრელიძის აზრით, წმინდა უმოქმედობისას, როგორცაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დაუხმარებლობა, პირისთვის დაკისრებული მოვალეობა არის ინდივიდუალური და შესაბამისად, იგი თანაამსრულებლობას მიიჩნევს შეუძლებლად.<sup>24</sup> ავტორთა მოსაზრებების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მოვალეობა პერსონალურია როგორც შერეული, ისე წმინდა უმოქმედობის დელიქტებში და ორივე შემთხვევაში თანაამსრულებლობა დოგმატურად შესაძლებელია.

### 2.2.2. თანაამსრულებლობის სუბიექტური მხარე

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში თანაამსრულებლობის სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები. პროფესორ ოთარ გამყრელიძის აზრით, სუბიექტური მხრივ თანაამსრულებლობას ახასიათებს ორი ძირითადი ნიშანი: ფსიქიკური დამოკიდებულება თანაამსრულებლისა და დანაშაულებრივი შედეგისადმი და ფსიქიკური დამოკიდებულება თანაამსრულებლებისა ერთმანეთის მიმართ.<sup>25</sup> იგი განმარტავს, რომ თანაამსრულებლობა როგორც წესი, ხორციელდება განზრახ, მაგრამ შეიძლება სახეზე არ იყოს წინასწარი შეთანხმება, არამედ მათ ჰქონდეთ იმის ცოდნა და შეგნება, რომ ისინი ახორციელებენ ერთიან სისხლისსამართლებრივ უმართლობას. ოთარ გამყრელიძის აზრით, შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულება მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დროს არის შესაძლებელი.

პროფესორ მერაბ ტურავას აზრით, სუბიექტური მხრივ, დანაშაულის თანაამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა, რომელიც ჩადენილია ორი ან მეტი პირის მიერ შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვის ფორმით. რაც შეეხება ერთი პირის მიერ ჩადენილ დანაშაულის ამსრულებლობას, იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. მისი აზრით, თანაამსრულებლობის დროს პირის მოქმედება გამოწვეულია ორი გარემოების ცოდნით: ეს არის ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების და იმის ცოდნა, რომ კონკრეტული დანაშაულის ქმედების შემადგენლობას ახორციელებს სხვა ამსრულებელიც.<sup>26</sup>

<sup>24</sup> იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, 2005, გვ.184

<sup>25</sup> იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, პირველი ტომი, 2011, გვ. 285

<sup>26</sup> იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 330

პროფესორ თინათინ მჭედლიშვილი–ჰედრიხის აზრით, არაა დამაჯერებელი ის პოზიცია, რომლის მიხედვითაც თანაამსრულებელთა შორის წინასწარი შეთანხმება არ არის სავალდებულო და საკმარისია მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ისინი ერიან სისხლისსამართლებრივ უმართლობას ახორციელებენ. მისი განმარტებით, თანაამსრულებლობის დროს არაა აუცილებელი საერთო გეგმის ყველა დეტალის ცოდნა და ერთმანეთის მოქმედების ცოდნა და ამის საფუძველზე მოქმედება ადასტურებს თანაამსრულებელთა საერთო მიზნის შეთანხმებაზე. მისი აზრით, თანაამსრულებლობის დროს ძალიან მნიშვნელოვანია თანაამსრულებელთა ინტელექტუალური კავშირი, რაც აუცილებელია მიზნის ერთიანობისთვის<sup>27</sup>

აღნიშნულ მოსაზრებებზე დაყრდნობით უფრო მართებულია პოზიცია, რომლის მიხედვითაც დანაშაულის თანაამსრულებლობა და ამსრულებლობა შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით, ვინაიდან შესაძლებელია პირს ჰქონდეს გათვალისწინებული თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის დადგომას, მაგრამ არ სურდეს იგი, თუმცა შეგნებულად უშვებდეს ან გულგრილად ეკიდებოდეს ასეთი შედეგის დადგომას. ამასთანავე, აუცილებელია დანაშაულის ჩამდენმა პირმა იცოდეს როგორც ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნები, ასევე ის, რომ აღნიშნულ შემადგენლობას ახორციელებს სხვა პირი. აქედან გამომდინარე, სავსებით სწორია პოზიცია იმის შესახებ რომ თანაამსრულებლობა შესაძლებელია როგორც პირაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვის ფორმით.

### **2.2.3. მიზეზობრივი კავშირი თანაამსრულებლობის დროს**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგთან, რაც პირის დასჯადობის საფუძველია. შესაბამისად, საინტერესოა განხილულ იქნეს მიზეზობრივი კავშირი თანაამსრულებლობით ჩადენილი დანაშაულების დროს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში კვლავ განსხვავებული პოზიციები არსებობს.

იმისათვის, რომ თანაამსრულებლობით ჩადენილ ქმედებაში სახეზე იყოს მიზეზობრივი კავშირი, აუცილებელია პირი სჩადიოდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას და სახეზე იყოს მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

<sup>27</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი–ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 163–164

თანაამსრულებლობისათვის არაა აუცილებელი, რომ კონკრეტული პირები დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობას იღებდნენ ქმედების შემადგენლობის განხორციელების დასაწყისში, არამედ სავსებით შესაძლებელია ისინი სხვის მიერ დაწყებულ ქმედებაში მოგვიანებით ჩაერთონ და დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება შეუთანხმონ მეორე პირს. ასეთი ტიპის თანაამსრულებლობას სუქცესიურ თანაამსრულებლობას უწოდებენ.<sup>28</sup> მეტად საინტერესოა ის საკითხი თუ დანაშაულის რომელ სტადიაზე უნდა განხორციელდეს ასეთი სახის თანაამსრულებლობა, დანაშაულის ფორმალურ თუ მატერიალურ დამთავრებამდე.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თანაამსრულებლობისათვის აუცილებელია მათ ჰქონდეთ საერთო გეგმა ან მიზანი, რომელიც მათ შორის უნდა იყოს შეთანხმებული.

თანაამსრულებლობის დროს პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს იქიდან გამომდინარე, თუ რა გააკეთა დამნაშავემ იმასათვის რა განზრახვაც მას ჰქონდა. როდესაც თანაამსრულებლები წინასწარ თანხმდებიან და ინაწილებენ როლებს, ბუნებრივია სახეზეა მიზეზობრივი კავშირი, თითოეული ამსრულებელი, რომელიც ქმედების შემადგენლობის ერთ ნაწილს ახორციელებს, ამით იგი განამტკიცებს მეორე თანაამსრულებლის განზრახვას.

რაც შეეხება თანაამსრულებლობას მომზადების ან მცდელობის დროს, ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია პოზიცია, რომ თანაამსრულებლობის მომზადების ან მცდელობის დასაწყებად, სავსებით საკმარისია ერთმა თანაამსრულებელმა შექმნას შესაბამისი პირობები დანაშაულის განზრახ ჩასადენად, ან მან უშუალოდ დაიწყოს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება. ისეთ შემთხვევაში, როდესაც თანაამსრულებელს არ განუხორციელებია კონკრეტული ქმედება, იგი პასუხს აგებს მომზადების ან მცდელობისათვის.<sup>29</sup>

#### 2.2.4. ბრალი თანაამსრულებლობისას

---

<sup>28</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი–ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 169

<sup>29</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი–ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 173–174

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, აკრძალულია სასჯელის დაკისრება ინდივიდუალური ბრალის დადგენის გარეშე.<sup>30</sup> მსოფლიოს განვითარებული სახელმწიფოების სისხლის სამართალში უარყოფილია კოლექტიური ბრალის პრინციპი. თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში მოქმედებს ბრალის ნორმატიული (შეფასებითი) თეორია, რომლის მიხედვითაც ბრალი არის მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალური გაკიცხვა, მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. ბრალის პრინციპი გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, რაც გულისხმობს იმას, რომ პირის დასჯა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც არსებობს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ინდივიდუალურად შერაცხვის სამართლებრივი საფუძველი.<sup>31</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თანამსრულებლობა აუცილებლად გულისხმობს განზრახ ბრალს, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ რამდენიმე პირის ქმედებამ შედეგი გამოიწვია გაუფრთხილებლობით, ისინი პასუხს აგებენ არა როგორც თანამსრულებელნი, არამედ დამოუკიდებლად. ამასთან, თანამსრულებლებს უნდა ჰქონდეთ იმის შეგნება, რომ დანაშაულებრივი შედეგი მათი საერთო ქმედებების შედეგია.<sup>32</sup>

### 2.3. თანამონაწილეობის ცნება

დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეობის დროს, ისევე როგორც თანამსრულებლობისას სახეზე უნდა იყოს ერთზე მეტი პირი, მაგრამ მთავარი ნიშანი რომლითაც განსხვავდება ეს ორი სისხლის სამართლებრივი ინსტიტუტი არის პირის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით არსებობს თანამონაწილეობის შემდეგი ფორმები: ორგანიზატორობა, წამქეზებლობა და დახმარება.

თანამონაწილეობის საკითხი როგორც სისხლის სამართლის თეორიაში, ისე კანონმდებლობაში ერთგვარად არ წყდება. კერძოდ, ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ თანამონაწილეობა არის აქცესორული ხასიათის, რაც გულისხმობს იმას, რომ

<sup>30</sup> სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი

<sup>31</sup> იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 207

<sup>32</sup> იხ. თინათინ წერეთელი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „თბილისი“, 2011, გვ.143

თანამონაწილის ქმედებას არ ენიჭება დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა და მისი ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე.<sup>33</sup>

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს თანამონაწილეობის სამი ფორმა: ორგანიზატორობა, წამქეზებლობა და დახმარება. ორგანიზატორი არის პირი, რომელმაც მოაწყო დანაშაულის ჩადენა, ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის ვინც შექმნა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. წამქეზებელია პირი, რომელმაც დაიყოლია სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად, ხოლო დახმარება ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენაში.

საინტერესოა თანამონაწილეობის საკითხი მომზადების და მცდელობის დროს. პროფესორ ოთარ გამყრელიძის აზრით, „თუ ამსრულებლის მოქმედება მომზადების ან მცდელობის ეტაპზე შეჩერდა, თანამონაწილეც პასუხს აგებს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის მონაწილეობისათვის, თუ ამსრულებელმა დაასრულა დანაშაული, თანამონაწილეც დამთავრებული დანაშაულის თანამონაწილეობისათვის დაისჯება“.<sup>34</sup>

თანამონაწილეობა არ არსებობს ამსრულებლის გარეშე და ყოველი თანამონაწილე უნდა მოქმედებდეს ერთიანი განზრახვით.<sup>35</sup>

თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველია თანამონაწილეთა მიერ ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელება.<sup>36</sup> სისხლისსამართლებრივი უმართლობა არის პირის მიერ ჩადენილი ქმედების შემადგენლობა და ამას დამატებული მართლწინაღმდეგობა. მას დანაშაულისგან განსხვავებს ბრალი, რომლის გარეშე არ არსებობს დანაშაული. აქედან გამომდინარე სავსებით შესაძლებელია უმართლობა განახორციელოს შეურაცხადმა პირმა, რომელსაც ბრალუუნარობის გამო ჩადენილი ქმედება არ შეერაცხება.

სისხლის სამართლის პრაქტიკაში მეტად მნიშვნელოვანია ამსრულებლის გამიჯვნა თანამონაწილისგან. ეს ეხება მაგალითად ერთი მხრივ, თანამსრულებელსა და დახმარეს და მეორე მხრივ, შუალობით ამსრულებელსა და წამქეზებელს. სისხლის სამართალში მოქმედებს ე.წ. ლიმიტირებული აქცესორულობის პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ

---

<sup>33</sup> იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, პირველი ტომი, 2011, გვ. 130–131

<sup>34</sup> იხ. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008, გვ.192

<sup>35</sup> იხ. მ. ლომსაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011, გვ.73

<sup>36</sup> იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 332



თანამონაწილის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის მიერ ჩადენილ ქმედებაზე და რომლის ჩადენა ბრალეულად არ არის სავალდებულო.<sup>37</sup>

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტებიდან შეიძლება გაკეთდეს ანალიზი, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობას და მოითხოვს, რომ როგორც ამსრულებელი, ისე თანამონაწილენი მოქმედებდნენ განზრახ. „ამიტომ თუ დანაშაულის უშუალო ამსრულებელი მოქმედებდა გაუფრთხილებლობით, – წერს ოთარ გამყრელიძე, წამქეზებელი, ან დამხმარე, რომელიც განზრახ მოქმედებდა, პასუხს აგებს როგორც შუალობითი ამსრულებელი და არა როგორც თანამონაწილე“.<sup>38</sup> ამრიგად, სისხლის სამართლის კანონის მიხედვით, წამქეზებლის და დამხმარის მოქმედება პირდაპირ კავშირშია ამსრულებლის განზრახ მოქმედებასთან და ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს თანამონაწილეებად, თუ ამსრულებლის მიერ ჩადენილი იქნება განზრახი დანაშაული.

სისხლის სამართლის თეორიაში არსებობს თანამონაწილეობის რამდენიმე ფორმა. კერძოდ, ქართულ სისხლის სამართალში განასხვავებენ თანამონაწილეობას ფართო და ვიწრო გაგებით. თანამონაწილეობა ფართო გაგებით უშუალო ამსრულებელსაც თანამონაწილედ აღიარებს და შესაბამისად, თანამსრულებლობა არის თანამონაწილეობა. რაც შეეხება თანამონაწილეობას ვიწრო გაგებით, იგი გულისხმობს ამსრულებელი თანამონაწილე არ არის და იგი მოიცავს ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის ფიგურებს.<sup>39</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა იზიარებს თანამონაწილეობას ვიწრო გაგებით. არსებობს თანამონაწილეობა როლების დანაწილებით, რაშიც ასევე იგულისხმება ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე.

თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის არსებობისათვის მნიშვნელოვანია არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილის ქმედებასა და ამსრულებლის ქმედებას შორის.

თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია ბრალი, ვინაიდან მის გარეშე გამორიცხულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებობა. პროფესორ თინათინ წერეთლის აზრით, თანამონაწილედ

<sup>37</sup> იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 333

<sup>38</sup> იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, პირველი ტომი, 2011, გვ. 131

<sup>39</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 139

შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის პირი, რომელმაც ბრალეულად გამოიწვია დანაშაულებრივი შედეგი და არამართო ობიექტურად განაპირობა იგი.<sup>40</sup>

### 2.3.1. თანამონაწილეობის ობიექტური მხარე

დანაშაულის შემადგენლობის განსაზღვრისას აუცილებელია მისი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთობლიობა, რაც თავის მხრივ არის მართლწინააღმდეგობის წინაპირობა. მართლწინააღმდეგობის შემდეგ არის ბრალი, რომლის გარეშეც პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია. ქმედებაში მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა კი აფუძნებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას.

დანაშაულის შემადგენლობა არის სამკომპონენტო და შედგება ქმედების შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალისგან. პირველი ორი კომპონენტის ერთობლიობა აფუძნებს სისხლისსამართლებრივ უმართლობას, რომელიც არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. პასუხისმგებლობის საფუძველია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობა და ბრალეული ქმედება. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველად დანაშაულის მიჩნევა არასწორია, ვინაიდან პირი, სანამ მის მიმართ არ იქნება გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, მანამდე დანაშაული ჩადენილად ვერ ჩაითვლება. ამდენად, თუ პირის მართლწინააღმდეგობა ქმედებაში არ დადგინდა პირის სუბიექტური ბრალი პროცესუალური თვალსაზრისით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია<sup>41</sup>.

ობიექტურად, დანაშაულში თანამონაწილეობა გამოიხატება მოქმედებაში, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც იგი შეიძლება გამოხატოს უმოქმედობაშიც. თანამონაწილეობად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი უმოქმედობა, რომელსაც ამსრულებელი გამოიყენებს დანაშაულის ჩადენის დამხმარე საშუალებად.<sup>42</sup>

<sup>40</sup> იხ. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, მეორე ტომი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2007, გვ. 34-35

<sup>41</sup> ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, შოა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გურამ ნაჭყებია, თბილისი, 2012, გვ. 26

<sup>42</sup> იხ. თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2002. გვ. 242

დანაშაულში თანამონაწილეობა როგორც წესი, შესაძლებელია გამოიხატოს აქტიურ მოქმედებაში. კერძოდ, თანამონაწილეები თავიანთი როლების მიხედვით ასრულებენ იმ ქმედებებს, რაც დამახასიათებელია მათთვის. თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულებში შესაძლებელია უმოქმედობა, როდესაც ორი ან მეტი პირი არ ასრულებს მართლზომიერ ქმედებას, რისი ვალდებულებაც აკისრიათ, რაც იწვევს მართლსაწინააღმდეგო შედეგს. თუმცა როდესაც სახეზეა თანამონაწილეობა, როდესაც ხდება როლების დანაწილება, მისი უმოქმედებით ჩადენა გამორიცხულია, ვინაიდან ორგანიზატორის ფუნქციაა აქტიური მოქმედება, ისევე როგორც წამქეზებლის ფუნქციაა აქტიური წაქეზება, ხოლო დამხმარის ფინქცია აქტიურ ქმედებაში გამოიხატება, რადგან იგი მინიმუმ წინასწარ ჰპირდება დამნაშავეს, რომ თავისი ქმედებებით ხელს შეუწყობს და დაეხმარება დანაშაულის ჩადენაში.

პროფესორ ოთარ გამყრელიძის მოსაზრებით, დანაშაულში თანამონაწილეობის ობიექტურ მხარეს შეადგენს ერთიანი უმართლობა.<sup>43</sup>

ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში სადავოა პოზიცია იმის შესახებ თანამონაწილენი ასრულებენ თუ არა დანაშაულის ერთი და იმავე შემადგენლობას. ზოგიერთი ავტორის აზრია, რომ დანაშაულის შემადგენლობას ასრულებს მხოლოდ ამსრულებელი და არა თანამონაწილენი. აღნიშნულ მოსაზრებას ავტორები ასაბუთებენ იმით, რომ ქმედების შემადგენლობა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული კონკრეტული მუხლების ნიშნებს მოიცავს და არა ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ ნიშნებს.

მაგალითად, ობიექტური შემადგენლობის კუთხით მნიშვნელოვანია ორგანიზატორის სამართლებრივი ფიგურის განხილვა. მისი საქმიანობა ძირითადად ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტით შემოიფარგლება, როგორცაა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნა, დანაშაულებრივი გეგმის შედგენა და სხვა. ორგანიზატორი შესაძლებელია იყოს დანაშაულის ჩადენის ადგილზე ან უშუალოდ ხელმძღვანელობდეს მის განხორციელებას, მაგრამ არ ასრულებდეს ქმედების შემადგენლობას უშუალოდ. ასევე სავსებით შესაძლებელია ორგანიზატორი საერთოდ არ იმყოფებოდეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე, მაგრამ ხელმძღვანელობდეს მის ჩადენას.<sup>44</sup>

რაც შეეხება წამქეზებლის ობიექტურ მხარეს, იგი გულისხმობს კონკრეტული პირის ან პირთა წრის დაყოლიებას კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად. წაქეზება

<sup>43</sup> იხ. ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემები და თანამონაწილეობის დასჯდაობის საფუძველი, სისხლის სამართლის პრობლემები, მეორე ტომი, თბილისი, 2013,

<sup>44</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 214

გამორიცხულია ისეთ დროს, როდესაც პირი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირებს მოუწოდებს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისკენ.<sup>45</sup>

### 2.3.2. თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე

მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე, ვინაიდან ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლები განსაზღვრავს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებებს. განზრახი დანაშაული შესაძლებელია ჩადენილი იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით, ხოლო გაუფრთხილებლობითი დანაშაული თვითიმედოვნების ან დაუდევრობის ფორით. თანამონაწილეობის სუბიექტური ნიშანი იმაშიც მდგომარეობს, რომ თანამონაწილის თითოეული ქმედება ფსიქიკურ კავშირში უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო შედეგთან.<sup>46</sup>

თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის ანალიზი უნდა მოხდეს თითოეული თანამონაწილის სუბიექტური მხარის განხილვით: ორგანიზატორის ქმედება მოიცავს მრავალ ნიშანს, როგორცაა დანაშაულის ჩადენისათვის გეგმის შედგენა, ორგანიზებული ჯგუფის შექმნა და ხელმძღვანელობა. შესაბამისად სუბიექტური მხრივ, მისი ქმედება ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ორგანიზატორმა შეიძლება დანაშაული ჩაიდინოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით, რაც არ არის მართებული პოზიცია, ვინაიდან ორგანიზატორის სამართლებრივი ფიგურა აუცილებლად გულისხმობს ქმედების პირდაპირი განზრახვით ჩადენას.

წამქეზებლის სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. კერძოდ, ერთი მხრივ, წამქეზება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით და მისი არაპირდაპირი განზრახვით ჩადენა შეუძლებელია, ხოლო მეორე პოზიციის მიხედვით, წამქეზება შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით. ჩვენი მოსაზრებით, წამქეზება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, ვინაიდან წამქეზება აუცილებლად გულისხმობს პირის მხრიდან დანაშაულის ჩადენის სურვილს, რაც არაპირდაპირი განზრახვით შეუძლებელია.<sup>47</sup>

რაც შეეხება დამხმარეს, იგი თავისი ქმედებით ხელს უწყობს და უმარტივებს პირს დანაშაულის ჩადენაში, რაც გულისხმობს იმას, რომ მასაც აქვს სურვილი დანაშაულებრივი

<sup>45</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2011, გვ. 222

<sup>46</sup> იხ. თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2002. გვ. 243

<sup>47</sup> იხ. ე. გვენცაძე, დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014. გვ.50

ქმედების ჩადენის, რაც პირდაპირი გაზრახვითაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ დანაშაულში თანამონაწილეებს აერთიანებთ ერთიანი მიზანი.

თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულებში სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით საინტერესოა პროფესორ მერაბ ტურავას პოზიცია, რომელიც მიიჩნევს, რომ თანამონაწილეობა სუბიექტური მხრივ შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით.<sup>48</sup>

პროფესორ ოთარ გამყრელიძე აღიარებს დანაშაულის თანამონაწილეობით ჩადენის შესაძლებლობას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. მას მიაჩნია, რომ თანამონაწილეები ყოველთვის პირდაპირი განზრახვით მოქმედებენ და არ ეთანხმება თინათინ წერეთლის პოზიციას, რომლის მიხედვითაც თანამონაწილეობა შესაძლებელია არაპირდაპირი განზრახვითაც.<sup>49</sup>

### 2.3.3. მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილეობის დროს

მიზეზობრივი კავშირის საკითხი მნიშვნელოვანია თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულებში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს მიზეზობრივი კავშირის საკანონმდებლო დეფინიციას, რომლის მიხედვითაც, მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ეს შედეგი არ განხორციელდებოდა, ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.

მიზეზობრივი კავშირის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულებში პრაქტიკული თვალსაზრისით. ამ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა პოზიციები. „თანამონაწილეთა მოქმედების ობიექტური მხარის ერთიანობა –წერს თინათინ წერეთელი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ ყოველი თანამონაწილის მოქმედება უნდა იყოს მიზეზობრივ კავშირში დანაშაულებრივ შედეგთან, ასე რომ ეს შედეგი, მათი საერთო საქმიანობის პროდუქტი უნდა იყოს“.<sup>50</sup>

როგორც უკვე ავლნიშნეთ თანამონაწილეობის დროს აუცილებელია მინიმუმ ორი პირის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, მნიშვნელოვანია, რომ ის ქმედება, რომელმაც

<sup>48</sup> იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 333

<sup>49</sup> იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, 2013, გვ.274-276

<sup>50</sup> იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1965, გვ. 12

გამოიწვია კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო შედეგი უნდა იყოს მათი საქმიანობის შედეგი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული სისხლის სამართალი განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში თანამონაწილეთა როლების გასამიჯნად იყენებს ე.წ. დუალისტურ სისტემას. აღნიშნული სისტემის მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების პროცესში თითოეულ მონაწილეს განიხილავს ამსრულებლად ან თანამონაწილედ. სისხლის სამართალში არსებობს ასევე ერთიანი ამსრულებლობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი პირი, რომლის ქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან, არის დანაშაულის ამსრულებელი, მიუხედავად მისი წვლილისა დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში. ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში გაბოტენებულია დუალისტური მიდგომა.<sup>51</sup>

ამრიგად, თანამონაწილეობის დროს უნდა შეფასდეს კონკრეტულ შემთხვევაში პირის მიერ განხორციელებული ქმედების ხასიათი, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მიზეზობრივი კავშირის დადგენაში.

#### **2.3.4. ბრალი თანამონაწილეობის დროს**

იმისათვის, რომ პირის ქმედება დაკვალიფიცირდეს დანაშაულად, ქმედების შემადგენლობის და მართლსაწინააღმდეგობასთან ერთად აუცილებელია ბრალის დადგენა, რაც არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. როდესაც სახეზე არ არის ბრალი, ქმედების შემადგენლობა და მართლსაწინააღმდეგობა აფუძნებს სისხლისსამართლებრივ უმართლობას.

ბრალი თანამონაწილეობის დროს იურიდიულ ლიტერატურაში განხილულია სხვადასხვა ავტორთა მიერ. თინათინ წერეთლის აზრით, თანამონაწილეა მხოლოდ ის პირი რომელმაც არა მარტო ობიექტურად განახორციელა თავისი მოქმედებით დანაშაულებრივი შედეგი, არამედ ბრალეულად გამოიწვია იგი თავისი ქმედებით.<sup>52</sup>

ბრალის საკითხი თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში მეტად მნიშვნელოვანია. თინათინ წერეთლი დაუშვებლად მიიჩნევს თანამონაწილეობას ბრალის სხვადასხვა ფორმების დროს. მისი აზრით, დანაშაულის ერთიანობისათვის

<sup>51</sup> იხ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა, „ბონა კაუზა“, 2010, გვ. 265

<sup>52</sup> იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1965, გვ.36

აუცილებელია სუბიექტური ნიშნების ერთიანობა, როდესაც ყოველი თანამონაწილის ქმედება მიმართულია ერთნაირი დანაშაულებრივი შედეგისაკენ.<sup>53</sup>

თანამონაწილეობის დროს ბრალის საკითხის განხილვისას საინტერესოა პროფესორ მერაბ ტურავას მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, აუცილებელია როგორც ამსრულებელსა და თანამონაწილეს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა, არამედ მნიშვნელოვანია მათი ერთიანი განზრახვით მოქმედება. „თუ ამსრულებელი მოქმედებს ასეთ საპატიებელ ვითარებაში, წერს მერაბ ტურავა – რომელიც გამორიცხავს მის ბრალს, იგი მაინც არის უმართლობის ამსრულებელი. ასეთ ამსრულებელს შეიძლება ჰყავდეს მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების თანამონაწილე.<sup>54</sup> ამრიგად, ამ მოსაზრებიდან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ამსრულებლის ქმედებაში შეიძლება არ იყოს ბრალი, მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავს ამავე ქმედების თანამონაწილის არაბრალეულობას.

ვფიქრობთ აღნიშნული მოსაზრება სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან იმ შემთხვევაში თუ ამსრულებლის მხარეზეა დანაშაულის პირველი და მეორე ნიშანი ქმედების შემადგენლობა და ბრალი, ეს აფუძნებს სისხლისსამართლებრივ უმართლობას, მაგრამ თუ ქმედებას ჰყავს თანამონაწილე, ეს არ გამორიცხავს მისი მხრიდან დანაშაულის სრული შემადგენლობის განხორციელებას.

## 2.4. ამსრულებლის ექსცესი

ამსრულებლის ექსცესთან დაკავშირებით უნდა მოხდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 26–ე მუხლის განხილვა, რომლის მიხედვითაც, ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა. ამავე მუხლის თანახმად, ამსრულებლის ექსცესის დროს სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

სისხლის სამართალი იცნობს ამსრულებლის ექსცესის ცნებას, რაც გულისხმობს მოქმედებიდან გადახრას. განასხვავებენ ამსრულებლის ექსცესის ორ სახეს: რაოდენობრივი და თვისობრივი. რაოდენობრივი ექსცესი სახეზეა მაშინ, როდესაც არ

<sup>53</sup> იხ. თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1965, გვ.38

<sup>54</sup> იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 333

არსებობს თვისობრივი განსხვავება თანამონაწილეებთან შეთანხმებულ და ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულს შორის.<sup>55</sup>

როდენობრივი ექსცესი სახეზეა მაშინ, როდესაც თანამონაწილეთა განზრახვა მსუბუქ დანაშაულს მოიცავს, ამსრულებელი კი უფრო მძიმე დანაშაულს სჩადის.<sup>56</sup> მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ექსცესი სახეზეა მაშინ, როდესაც პირი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. „მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, წერს ოთარ გამყრელიძე – თითქოს ამსრულებლის ექსცესი თვის შეიძლება პასუხი აგოს თანამონაწილემ არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაში“<sup>57</sup>. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია ასევე პოზიცია, რომ თუ პირს ამსრულებლის ექსცესის მიმართ არაპირდაპირი განზრახვა აქვს, მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა დამდგარი შედეგის მიმართ, ვინაიდან არაპირდაპირი განზრახვა, რომელიც ხასიათდება შედეგის დადგომის სურვილის არქონით არ არის ის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც თანამონაწილეებს ერთმანეთს დაუკავშირებს.<sup>58</sup>

## 2.5. თანამსრულებლობით და თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დასჯადობა

თანამსრულებლობით და თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დასჯადობის საფუძველი განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 25–ე მუხლის მიხედვით, ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით. თანამსრულებელი დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს როგორც ამსრულებელი. ამას ადასტურებს ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, „თანამსრულებლის სისხლისსამართლებრივი

<sup>55</sup> იხ. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი 2005, გვ. 204

<sup>56</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი–ჭედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 249

<sup>57</sup> იხ. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი 2005, გვ. 205

<sup>58</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი–ჭედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 250–251



პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მიუთითებლად<sup>59</sup>

იქიდან გამომდინარე, რომ თანამსრულებელი იგივე ამსრულებელია, მისი ქმედების კვალიფიკაციისთვის საკმარისია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლზე მითითება და კოდექსის 24-ე მუხლის მითითება არაა საჭირო. მიუხედავად ამისა, სხვაგვარად წყდება საკითხი თანამონაწილეობის დროს. კერძოდ, ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის პასუხისმგებლობის განსაზღვრა ხდება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლთან, კოდექსის 24-ე მუხლზე მითითებით, მაგრამ როდესაც თანამონაწილე იმავდროულად არის დანაშაულის თანამსრულებელიც, მაშინ კოდექსის 24-ე მუხლზე მითითება არ უნდა მოხდეს.<sup>60</sup>

პროფესორ ოთარ გამყრელიძის აზრით, ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივ უმართლობას ეფუძნება. ამ საერთო საფუძვლის გარეშე არ არსებობს თანამონაწილისა და ამსრულებლის პასუხისმგებლობა. ანუ, თანამონაწილე პასუხს აგებს იმ უმართლობის ჩადენისათვის, რასაც ამსრულებელი სჩადის.<sup>61</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია, რაც გულისხმობს, რომ თანამონაწილის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის მიერ ჩადენილ ქმედებაზე. ამსრულებლის მიერ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების გარეშე, დანაშაულში თანამონაწილეობა გამორიცხულია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, როდესაც ამსრულებლის და თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ასეთი ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში პასუხისმგებლობის გაძლიერების და შემსუბუქების მიზნით შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს ისეთი პერსონალური ნიშანი, რომელიც არ აფუძნებს სისხლისსამართლებრივ უმართლობას და მხოლოდ პერსონალური ხასიათი აქვს. მაგალითად, ანგარების მოტივი, რომელიც შეიძლება იყოს მაკვალიფიცირებელი ნიშანი და იგი პერსონალურად შეერაცხება მხოლოდ იმას, ვისაც იგი ახასიათებს.<sup>62</sup>

სისხლის სამართლის პრაქტიკაში არსებობს პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია თანამონაწილისა და ამსრულებლის გამიჯვნასთან დაკავშირებით.

<sup>59</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი

<sup>60</sup> იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, 2013, გვ.283

<sup>61</sup> იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, 2013, გვ.282

<sup>62</sup> იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, 2013, გვ.284

ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში მოქმედებს ლიმიტირებული აქცესურობის პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ თანამონაწილის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე, თუმცა შესაძლებელია ეს ქმედება არც იყოს ბრალეული. პოფესორ მერაბ ტურავას აზრით, თუ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდა რამდენიმე პირი, თავდაპირველად უნდა განისაზღვროს თუ ვის მიერ არის ჩადენილი ძირითადი სისხლისსამართლებრივი უმართლობა, რის შემდეგაც უკვე შესაძლებელი იქნება იგივე უმართლობისთვის თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დადგეს.<sup>63</sup>

საინტერესოა სისხლის სამართლის სსაერთაშორისო სასამართლოს მიერ ამსრულებლის პასუხისმგებლობის საკითხი. სასამართლოს მიერ შემუშავებულია სამი ძირითადი ელემენტი, რომელიც მოიცავს ძირითად და დამატებით პასუხისმგებლობას. რომის სტატუტის 25–ე მუხლი მიუთითებს ამსრულებლის სამ სახეს. დანაშაულის ამსრულებლად თვლის ისეთ პირს, რომელსაც დანაშაულზე ეფექტური კონტროლი და აცნობიერებს ამას. კერძოდ, ესენია: 1. ვინც ფიზიკურად ახორციელებს დანაშაულის ელემენტებს ( პირდაპირი ამსრულებლობა); 2. სხვებთან ერთად ახორციელებს დანაშაულზე კონტროლს (თანაამსრულებლობა); 3. ახორციელებს კონტროლს იმ პირის ნებაზე, რომელიც უშუალოდ ასრულებს დანაშაულის ობიექტურ ელემენტებს (არაპირდაპირი ამსრულებლობა). საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ ასევე შემუშავდა თანაამსრულებლობის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი სამი ელემენტი, რომელიც მოიცავს დანაშაულზე კონტროლის კონცეფციას, მატერიალურ და მენტალურ ელემენტებს<sup>64</sup>.

## 2.6. თანამონაწილეობა დანაშაულში, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება

თანამონაწილეობა დანაშაულში ერთ–ერთი მნიშვნელოვან და პრობლემურ სისხლისსამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს. სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, დანაშაულის ჩადენა ორი ან მეტი პირის მეშვეობით არის დანაშაულებრივი საქმიანობის უფრო საშიში ფორმა, ვიდრე ერთი პირის მიერ, ვინაიდან ამ დროს სახეზეა დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად უფრო ფართო

<sup>63</sup> იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე–9 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 334

<sup>64</sup> იხ. გ. დგებუაძე, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით“, თბილისი, 2017, გვ. 121–122, 125

შესაძლებლობების გაერთიანება, რაც ბუნებრივია ზრდის კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ხარისხს.<sup>65</sup>

დანაშაულში თანამონაწილეობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი აისახება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. სწორედ მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებაა, რომლის გამოც იზრდება დანაშაულში თანამონაწილე პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები, რასაც ადასტურებს თანამონაწილეობით და მის გარეშე ჩადენილი ერთი და იმავე ქმედების სისხლისსამართლებრივი სანქციების სიმძიმეც. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის პრაქტიკაში შესაძლებელია შეგვხვდეს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაული უფრო მეტი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია, ვიდრე თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული, რომლის ჩადენაში ორი ან მეტი პირი მონაწილეობს. ამის ნათელი მაგალითია მკვლელობის დანაშაული, რომელსაც ერთი პირი სჩადის. მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი უფრო მაღალია ვიდრე მაგალითად, ქურდობის, რომელიც ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიერ.

მაგრამ ასეთი შეფასება ვერ გვექნება სახეზე, როდესაც მკვლელობა ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში ჯგუფურად ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ასეთი ხასიათის დანაშაული მომეტებული საფრთხის შემცველია, ვიდრე მისი ჩადენა ერთი პირის მიერ.

თანამონაწილეობითი დანაშაულის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს. სისხლის სამართლის პრაქტიკის და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედება შესაძლებელია ჩადენილ იქნეს არა მარტო ორგანიზებული ჯგუფის მიერ, არამედ პირთა ჯგუფის ან წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

თანამონაწილეობასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. თინათინ წერეთელი მიიჩნევს, რომ თანამონაწილეთა დანაშაულებრივი ქმედების ერთობლიობა გამოიხატება იმაში, რომ თანამონაწილეები ახორცილებენ ქმედების ერთი და იმავე შემადგენლობას.<sup>66</sup>

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ასევე არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის შემადგენლობას ახორცილებს მხოლოდ ამსრულებელი, ხოლო თანამონაწილენი ქმნიან აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ დანაშაულის ამსრულებლმა განახორციელოს ქმედების შემადგენლობა. იმ შემთხვევაში, როდესაც

<sup>65</sup> იხ.თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ.5

<sup>66</sup> იხ.თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965, გვ.63

ამსრულებელი უარს ამბობს დანაშაულის ჩადენაზე ან ნებაყოფლობით იღებს მის ჩადენაზე ხელს, გამორიცხულია თანამონაწილეებმა დამთავრებული დანაშაულისათვის აგონ პასუხი, ვინაიდან მათ მოქმედებაში არ არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი, რაც აფუძნებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ამდენად, თანამსრულებლობის გარდა სავსებით შესაძლებელია თანამონაწილეობის სხვა ფორმები განხორციელდეს ერთობლივი მონაწილეობის გარეშე, ამსრულებლის გარდა, ვინაიდან სხვა თანამონაწილეები მონაწილეობას არ იღებენ დანაშაულის განხორციელებაში. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია თანამონაწილეობის ცალკეული ფორმები განხორციელდეს თანამსრულებლობით, რაც გულისხმობს იმას, რომ თანამონაწილეობის ნებისმიერი ფორმა შეიძლება მოიცავდეს თანამონაწილეობას თანამსრულებლობის ფორმით.

## **2.7. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა თანამონაწილეობით და თანამსრულებლობით ჩადენილ დანაშაულებში**

თანამონაწილეობით და თანამსრულებლობით ჩადენილ დანაშაულებში დიდი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალური და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს სისხლის სამართალში. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს ინდივიდუალურ ბრალს, რაც გულისხმობს პირის პასუხისმგებლობას მის მიერ განხორციელებული ინდივიდუალური ბრალის მიხედვით. პირის ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი კონსტიტუციური რანგისაა და ემყარება სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპს.

რაც შეეხება საერთაშორისო სამართალში ინდივიდუალური ბრალის საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ შერაცხვას ეფუძნება, ზოგჯერ მაინც არსებობს ისეთი საკითხები, რაც ერთგვარ გაურკვევლობას ქმნის ინდივიდუალურ ბრალთან მიმართებით.

საერთაშორისო სისხლის სამართალში არსებობს ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რამდენიმე სახე. ესენია: დანაშაულში შეთქმულება, საერთო მიზანი და დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობა,

დანაშაულში შეთქმულების დოქტრინა მოითხოვს დანაშაულის ჩასადენად შეთანხმებას. ანალოგიურ შეთანხმებას მოითხოვს „საერთო მიზნის“ დოქტრინა, მაგრამ ამ დროს დამატებით აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული ქმედების განხორციელება. დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია რამდენიმე მონაწილის არსებობა, მისი დანაშაულებრივი ბუნების ცოდნა და ნებაყოფლობითი აქტიური მონაწილეობა დანაშაულებრივ ქმედებაში<sup>67</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მიხედვით, პირი მიუხედავად იმისა, რომ იგი არ სჩადის დანაშაულს საერთაშორისო სამართლის პრინციპების წინააღმდეგ, მაგრამ იგი ახალისებს სხვა პირს ასეთი დანაშაულის ჩასადენად, პასუხს აგებს საერთაშორისო სისხლის სამართლის შესაბამისად.<sup>68</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების „რომის სტატუტის“ 25-ე მუხლის მეტად მნიშვნელოვანი კერძოდ ამ მუხლის მე-3 პუნქტი შეიცავს როგორც ინდივიდუალურ, ისე თანამონაწილეობით სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას. პირი დაისჯება საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით, თუ ის ჩაიდენს ან შეეცდება ჩაიდინოს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებული დანაშაულები. მიუხედავად ამისა, შეიძლება თანამონაწილეობა საერთაშორისო სისხლის სამართალში არ განსხვავებოდეს ეროვნულ კანონმდებლობაში განსაზღვრული თანამონაწილეობის სისხლისამართლებრივი ინსტიტუტისგან.

## **2.8. თანამონაწილეობა და თანაამსრულებლობა სხვა ქვეყნების სამართლის მიხედვით**

როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო სამართალში დიდი მნიშვნელობა აქვს თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხს. როგორც ეროვნულ კანონმდებლობაში, ისე საერთაშორისო სისხლის სამართალში პასუხისმგებლობა დგება როცა პირი უშუალოდ სჩადის დანაშაულს, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მონაწილეობას იღებს დანაშაულებრივ ქმედებაში.

<sup>67</sup> იხ. გ. დგებუაძე, სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით“, თბილისი, 2017, გვ. 44

<sup>68</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების „რომის სტატუტის“ 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტი

ანგლოამერიკული სამართლის სიტემის ქვეყნებში, ისევე როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრიაში, გერმანიაში და იტალიაში არ არის განსხვავება დანაშაულის თანამონაწილეების კატეგორიაში. აღნიშნული ქვეყნების სამართლის სისტემები თანამონაწილეებს აკისრებენ ისეთი სახის პასუხისმგებლობას, როგორსაც დააკისრებდნენ მთავარ დამნაშავეს.

განსხვავება კეთდება თანამონაწილეების სამ ძირითად კატეგორიას შორის. ესენია: სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, დანაშაულის წაქეზება და დანაშაულის ხელშეწყობა.

სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში (მაგალითად გერმანია) სისხლის სამართლის კანონი ადგენს განასხვავებას ამსრულებელსა და თანამონაწილეებს შორის და განსაზღვრავს თანამონაწილის დასჯადობას უფრო ნაკლებად, ვიდრე დანაშაულის ჩამდენი მთავარი ამსრულებელი.<sup>69</sup>

რაც შეეხება დანაშაულის ჩადენაში დახმარებასა და წაქეზებას, პირი შეიძლება მონაწილეობდეს დანაშაულის ჩადენაში, თუმცა მთავარი ამსრულებლის მიზნების გარეშე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიდგომა არის მსგავსი თანამონაწილეობისა და თანამსრულებლის სამართლებრივი ფიგურების დაყოფასთან მიმართებით, რაც გულისხმობს, იმას რომ ორივე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში გამოიყენება დუალისტური მიდგომა.

ასევე ერთნაირია თანამონაწილის და თანამსრულებლობის ფორმები. კერძოდ, როგორც გერმანული, ისე ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით ამსრულებელი არის ის, ვინც ქმედებას ახორციელებს უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით.

ასევე ორივე ქვეყნის სამართლებრივი სისტემა კარგად იცნობს თანამონაწილეობის ისეთ ფორმებს, როგორცაა წამქეზებლობა და დახმარება. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ გერმანული სისხლის სამართალი განსხვავებით ქართულისგან არ იცნობს ორგანიზატორის სამართლებრივ ფიგურას. თანამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში არსებობს განსხვავებული პოზიციები. გერმანული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, როგორც ამსრულებლის, ისე თანამონაწილის სურვილი გამომდინარეობს პირის მხრიდან შედეგისადმი ინტერესით.

---

<sup>69</sup> International Criminal Law, Antonio Cassese, Publisher – Oxford University, Press, 2003.

აღნიშნულის საპირისპიროდ გერმანულ დოქტრინაში არსებობს მოსაზრება, რომ აუცილებელია არსებობდეს როგორც შედეგისადმი ინტერესი, ისე თანამონაწილის როლი და ქმედებაზე ბატონობის სურვილი.

ასევე მნიშვნელოვანია ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნების სამართლის მიდგომა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის სამართლის მიხედვით, გამოიყენება ტერმინი თანამონაწილენი, რომელშიც ერთი მხრივ შეიძლება იგულისხმებოდეს ნებისმიერი თანამონაწილე, ხოლო მეორე მხრივ არსებობს მოსაზრება, რომ აქ იგულისხმება მხოლოდ ისინი, ვინც ეხმარებიან პირს დანაშაულის ჩადენაში, აქეზებენ მას და ა. შ. ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების მიხედვით სხვადასხვგვარად რეგულირდება თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხები. ქართული კანონმდებლობა ამ კუთხით ყველაზე ახლოს დგას გერმანულ სისხლის სამართალთან, რაც განპირობებულია ამ ქვეყნის სამართლის გავლენით საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაზე.

## **2.9. თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის გამიჯვნა ქართულ სისხლის სამართალში**

თანამონაწილეობის და თანაამსრულებლობის გამიჯვნის პრობლემა აქტუალურია ქართულ სისხლის სამართალში და მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამაზე საუბარია იურიდიულ ლიტერატურაში და არსებობს მრავალი მოსაზრება სისხლის სამართლის მეცნიერებაში.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებობს თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის სხვადასხვა თეორიები. კერძოდ, სუბიექტური თეორიის თანახმად, ამსრულებელი არის ის, ვისაც ქმედება სურდა როგორც საკუთარი, ხოლო თანამონაწილეა ის, ვისაც ქმედება მიაჩნია როგორც სხვისი. ხსენებული თეორია უარყოფს წამექეზებლის სამართლებრივ ფიგურას. ხსენებულ თეორიასთან დაკავშირებით პროფესორი ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი განმარტავს, რომ სუბიექტური თეორია, არ იძლევა სპეციალური სუბიექტის მიერ ჩადენილი დაშაულის გათვალისწინების შესაძლებლობას.<sup>70</sup>

სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებობს თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის ობიექტური თეორიები. მაგალითად, ფორმალურ-

<sup>70</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 143

ობიექტური თეორიის მიხედვით, ამსრულებელმა დანაშაულის შემადგენლობა უნდა განახორციელოს მთლიანად ან ნაწილობრივ. აქედან გამომდინარე, დამხმარე როგორც თანამონაწილე, იქნება ის პირი, რომელიც არ ახორციელებს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის არც ერთ ნიშანს, არამედ იგი მონაწილეობას იღებს დანაშაულის მომზადების ეტაპზე და სხვა ხერხებით უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენაში.

არსებობს ასევე მატერიალურ–ობიექტური თეორია, რომელიც ამსრულებელსა და დამხმარეს მიჯნავს დანაშაულის ჩადენაში მათი წვლილის მიხედვით. „თანამსრულებელია ის – წერს ქეთევან მჭედლიშვილი–ჰედრიხი, ვინც დანაშაულის განხორციელებისას გადამწყვეტ როლს თამაშობს. ანუ ის, ვინც დანაშაულის განხორციელება–არგანხორციელების საკითხს წყვეტს და დანაშაულის მსვლელობას განსაზღვრავს. თანამონაწილე ამ თეორიის მიხედვით არის ის, ვინც ქმედებაზე არ ბატონობს და შესაბამისად დანაშაულის განხორციელებისას არა ცენტრალური, არამედ გვერდითი ფიგურაა“<sup>71</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამსრულებელი არის ისეთი სამართლებრივი ფიგურა, რომელიც ისე ფლობს და აკონტროლებს სიტუაციას, რომ საკუთარი ნების მიხედვით შეუძლია დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების პროცესის შეჩერება ან გაგრძელება. რაც შეეხება თანამონაწილეს, ის ნაკლებად საშიში სამართლებრივი ფიგურაა, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებული ქმედებაზე ბატონობის თეორიის მიხედვით, პირის ქმედებაზე ბატონობა შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმით: უშუალო ამსრულებლობა, როდესაც პირი თვითონ ასრულებს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს; შუალობითი ამსრულებლობა, როდესაც პირი სხვა მესამე პირის ე.წ. „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს და თანამსრულებლობა, რა დროსაც პირს შესაძლოა უშუალოდ არ მიუღია მონაწილეობა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების განხორციელებაში, მაგრამ ფუნქციურად იყო კავშირში დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების პროცესთან.

სისხლის სამართალში თანამონაწილეობისა და თანამსრულებლობის გამიჯვნის პრობლემის ანალიზისთვის აუცილებელია მოხდეს საკითხის ანალიზი დანაშაულის მომზადების და მცდელობის სისხლისსამართლებრივ ინსტიტუტებთან მიმართებით. თანამონაწილისა და თანამსრულებლის გამიჯვნის ერთ–ერთი მთავარი ნიშანი არის მათ მიერ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის მთლიანი ან ნაწილობრივი განხორციელების ფაქტი. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაულის მომზადება გულისხმობს დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნას. ამ სტადიაზე პირს ჯერ არ დაუწყია ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება. რაც შეეხება

<sup>71</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი–ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 147



დანაშაულის მცდელობას, იგი მომზადებისგან განსხვავებით უფრო მეტად საფრთხის შემცველია იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ სტადიაზე პირს უკვე დაწყებული აქვს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, რის გამოც კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს ემუქრება საფრთხე.

ამრიგად, თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის გამიჯვნისათვის აუცილებელია დადგინდეს დაწყებულია თუ არა ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება—არგანხორციელების ფაქტი, ვინაიდან სწორედ ეს განაპირობებს ქმედების საშიშროების ხარისხს. რაც შეეხება დამხმარის, როგორც თანამონაწილის ერთ-ერთი სახის სამართლებრივ ფიგურას, აქ მნიშვნელოვანია გადაწყდეს ის გარემოება, თუ რამდენად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ არსებობს განსხვავებული რეგულაცია ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს.

### **3. თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის გამიჯვნა – სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის გამიჯვნის საკითხი აქტუალურია როგორც სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ისე პრაქტიკაში. ამაზე საუბარია იურიდიულ ლიტერატურაში არაერთი ავტორის მხრიდან, მაგრამ ხსენებული საკითხის მნიშვნელობას ადასტურებს სასამართლო პრაქტიკა, სადაც არაერთი საკითხია წამოჭრილი ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის თვალსაზრისით.

თანაამსრულებლობის საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც სასამართლოს მეგობრის 2016 წლის 31 აგვისტოს მოსაზრება საქართველოს კონსტიტუციურ სარჩელთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის კონსტიტუციურობის შეფასებას საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის ნორმებთან.

სახალხო დამცველი იხილავს თანაამსრულებლობის ინსტიტუტს ჯგუფური დანაშაულის კონტექსტში. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილთან მიმართებით, რაც გულისხმობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას. სახალხო დამცველის მოსაზრებით, „თანაამსრულებლობა გაცნობიერებული და ნასურვები შეთანხმებული ქმედების გზით დანაშაულებრივი ქმედების ერთობლივად ჩადენაა. თანაამსრულებლობა სამუშაოს დანაწილებით მოქმედების პრინციპსა და როლების ფუნქციონალურ განაწილებას ეყრდნობა. ამ დროს

ქმედებაში მონაწილე ყოველი პირი, როგორც „თანაბარუფლებიანი პარტნიორი“ ქმედების ჩადენის შესახებ მიღებულ ერთობლივი გადაწყვეტილებისა (დანაშაულის ერთობლივი გეგმა) და ქმედების შემადგენლობის ერთობლივი განხორციელების (დანაშაულის ერთობლივად შესრულება) თანამზიდეია ისე, რომ დანაშაულში შეტანილი ცალკეული წვლილები ერთ მთლინობამდე ვითარდება და საერთო შედეგი ყოველ მონაწილეს სრულად უნდა შეერაცხოს.

თანაამსრულებლობა მაშინაა სახეზე, თუ დანაშაულში მონაწილეს, საკუთარი წვლით, მხოლოდ სხვისი მოქმედებისათვის ხელის შეწყობა კი არ სურს, არამედ აღნიშნული წვლილი ერთობლივი მოქმედების ნაწილი უნდა იყოს. ამასთან, ქმედებაში მონაწილე საკუთარ წვლილის შემავსებელ კომპონენტად უნდა სურდეს. შეფასებისთვის მნიშვნელოვან საყრდენ წერტილებს დანაშაულის შედეგისადმი საკუთარი ინტერესი, დანაშაულში მონაწილეობის მოცულობა და ქმედებაზე ბატონობის სურვილი შეიძლება წარმოადგენდეს.

ობიექტური თვალსაზრისით, თანაამსრულებლობის დასადასტურებლად აუცილებელია, რომ დანაშაულში მონაწილე ყოველი პირი დანაშაულის ჩადენის შესახებ მიღებული საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე და მისსავე ფარგლებში ახორციელებდეს დელიქტის ჩადენისთვის ხელშემწყობი წვლილის შეტანას. საერთო გეგმაზე შეთანხმება, როგორც სიტყვიერად, ასევე, კონკლუდენტურადაა შესაძლებელი. თანაამსრულებლობისთვის არაა აუცილებელი ამ საერთო გეგმის ყოველი დეტალის გათვალისწინება. თანაამსრულებლობისას ნებისმიერ შემთხვევაში მოტივისგან განსხვავებით მიზანი ყველასთვის საერთო უნდა იყოს, მიზნის ერთიანობისთვის კი თანაამსრულებელთა ინტელექტუალური კავშირია საჭირო. სწორედ დანაშაულის განხორციელების საერთო გადაწყვეტილების არსებობის გამო შეერაცხება თითოეულ თანაამსრულებელს სხვის მიერ განხორციელებული ქმედება სრულად და იგი ქმედებათა მთელი მოზაიკისთვის ისე აგებს პასუხს, თითქოს მას ეს ქმედებანი თავად პერსონალურად განეხორციელებინოს. ამ საერთო გადაწყვეტილების, საერთო მიზნის (წინასწარი შეთანხმება იქნება ეს თუ კონკლუდენტური) გარეშე თანაამსრულებლობა არ არსებობს<sup>72</sup>.

ამრიგად, სახალხო დამცველის მოსაზრებაში არაერთი საინტერესო გარემოებაა აღნიშნული, თანაამსრულებლობის საკითხთან დაკავშირებით.

თანაამსრულებლობის და თანამონაწილეობის საკითხებთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 15 მაისის განჩინება (საქმე N880აპ-19), რომლითაც არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებული პირების საკასაციო საჩივარი, ხოლო დაკმაყოფილდა

<sup>72</sup> [https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1953#\\_ftn74](https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1953#_ftn74)

ბრალდების მხარის საკასაციო საცივარი და ცვლილება შევიდა თბილისის საპელაციო სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის განაჩენში.

სისხლის სამართლის საქმის გარემოებების მიხედვით, მსჯავრდებულებს ბრალად ედებოდათ ყაჩაღობა ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში: 2017 წლის 11 აგვისტოს, დაახლოებით 15:00 საათზე, ქ. თ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ვ.გ-მა და ნ.გ-მა გადაინაწილეს როლები და ჯგუფურად თავს დაესხნენ შპს „ჯ“-ს დისტრიბუტორ ვ.მ-ს. ნ.გ-მა იარაღის მაგვარი საგნის დემონსტრირებითა და ძალადობის გამოყენებით ვ-ს მიაყენა ფიზიკური დაზიანებები, რის შემდეგაც თავდამსხმელები სადისტრიბუციო ავტომანქანიდან დაეუფლნენ ფულად თანხას – 2980 ლარს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საუბრობს როგორც თანამონაწილეობის, ისე თანამსრულებლობის საკითხებზე. კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებაში საუბარია დამხმარის როლზე დაშაულში თანამონაწილეობის დროს.

„ზემოაღნიშნული მტკიცებულებები, ერთობლიობაში აღებული ადასტურებენ, რომ მსჯავრდებულები შემთხვევის ადილზე თავიდანვე წინასწარი განზრახვითა და ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ, რაც წარმოადგენდა მათ თანამოქმედებას დანაშაულის უშუალო აღსრულებაში, ანუ დაზარალებულზე ყაჩაღურ თავდასხმაზე და იმ მომენტში დაზარალებულის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული თანხების დაუფლებაში. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საპელაციო სასამართლოს სამართლებრივ დასკვნას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებული ვ.გ-ს მიერ შემთხვევის ადგილზე ჩადენილი ქმედება წარმოადგენს ნ.გ-ს მიერ დაზარალებულის მიმართ ჩადენილ ყაჩაღურ თავდასხმაში თანამონაწილეობას ფიზიკური და ფსიქიკური დახმარების სახით. სასამართლო ვერ უთითებს კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ხსენებული დახმარება და მხოლოდ და მხოლოდ ზოგადად აღნიშნავს: ფიზიკური დახმარება გამოიხატებოდა ამსრულებლისათვის დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად გარემოებების შექმნასა და დაბრკოლების თავიდან არიდებაში, ხოლო ფსიქიკურ დახმარებაში მოიაზრება მხარდაჭერა, ინფორმაციის მიწოდება, დაპირება, რომ გადამალავდა ამსრულებელს და მის მიერ დანაშაულებრივად დაუფლებულ ქონებას. თუმცა დახმარების არცერთი დასახელებული ელემენტი არ არის ფაქტების სახით დაკონკრეტებული და არც ის მტკიცებულებებია მითითებული, საიდანაც ეს ფაქტები შეიძლება გამომდინარეობდეს. მაგალითად, არ არის დასახელებული რა დაბრკოლება ელოებოდა ამსრულებელს დანაშაულის ადგილზე და როგორ აარიდა ეს დაბრკოლება ვ.გ-მა ამსრულებელს, მაშინ, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, დამნაშავისთვის ხელის შემშლელი რაიმე დაბრკოლება საერთოდ არ იკვეთება, გარდა დაზარალებულის მიერ თავდამსახმელებისათვის გაწეული ფიზიკური წინააღმდეგობისა, რაზედაც მეტყველებს დაზარალებულის არამართო ჩვენება, არამედ

მისთვის მიყენებული დაზიანებებიც. განაჩენიდან არც ისაა ცნობილი, თუ რა წინაპირობები მოამზადა ვ.გ-მა ამ დანაშაულის ჩასადენად, რა მოქმედებები შეასრულა მან საამისოდ და რომელი მტკიცებულებები მიუთითებენ ყოველივე ამაზე. იგივე შეიძლება ითქვას მისი მხრივ ამსრულებლისთვის ფსიქიკური დახმარების გაწევის შესახებ განვითარებულ ვერსიაზეც<sup>73</sup>.

თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის პრობლემასთან მიმართებით საინტერესოა უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 17 ივლისის N128აპ-17 განჩინება, რომლითაც დაუშვებლად იქნა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენზე მსჯავრდებულის ადვოკატის საკასაციო საჩივარი.

კერძოდ, საქმე ეხება 2015 წლის ივლისის თვეში ჩადენილი ქმედებას, როდესაც მსჯავრდებულმა შეაღწია ერთ-ერთი ორგანიზაციის სათავო ოფისში, იარაღის გამოყენებით თავს დაესხა უსაფრთხოების სპეციალისტს, მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, დიდი ოდენობით თანხის დაუფლების მიზნით მოსთხოვა სეიფი გასაღები, მაგრამ სიგნალიზაციის ჩართვის შემდეგ გაიქცა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის განაჩენით მსჯავრდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, რის შემდეგაც მსჯავრდებულის ადვოკატმა მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას საკასაციო საჩივრით.

ადვოკატი საკასაციო საჩივრის მიხედვით ითხოვდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირისთვის წაყენებული ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლას და მისი ქმედების კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც გულისხმობს ყაჩაღობას მაკვალიფიცირებელი გარემოებების გარეშე. საკასაციო სასამართლოს მიერ დაუშვებლად იქნა ცნობილი საჩივარი.

წინამდებარე გადაწყვეტილება საინტერესოა იმ კუთხით, რომ მისი ანალიზისას ყურადღება უნდა გამახვილდეს თანამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხზე, რომელიც პრობლემურია სისხლის სამართლის პრაქტიკაში და ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს სისხლის სამართლის მეცნიერებაში.

<sup>73</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 15 მაისის განჩინება N880აპ-19, პუნქტი. 5

სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულმა კონკრეტული პირის დახმარებით განახორციელა ორგანიზაციის სათაო ოფისში შესვლა, რაც გახდა მისი ქმედების ჯგუფურად კვალიფიკაციის სამართლებრივი საფუძველი. დაცვის მხარის მოსაზრებით მსჯავრებულს არ ჩაუდენია ყაჩაღობა ჯგუფურად და ითხოვდა ქმედების კვალიფიკაციის შეცვლას.

თანამონაწილეობის და თანაამსრულებლობის გამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ყაჩაღობის შემადგენლობა ჩადენის დროს, თავისებურადაა ჩამოყალიბებული ისეთი დამამძიმებელი გარემოება, როგორცაა ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად. აქ იგულისხმება ყაჩაღობის ჩადენა როგორც ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ისე მისი ჩადენა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ.<sup>74</sup>

გადაწყვეტილების თანახმად, მართალია მსჯავრდებულმა მეორე პირის დახმარებით განახორციელა სათაო ოფისში შესვლა, თუმცა ყურადღება უნდა გამახვილდეს ქმედების შემადგენლობის უშუალოდ განხორციელებაზე და კონკრეტულად ამ ქმედების ჩამდენ სუბიექტზე. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, თუ ვინ ახორციელებს ქმედების შემადგენლობას უშუალოდ. იმისათვის, რომ ქმედების კვალიფიკაცია მოხდეს ჯგუფურად, საჭიროა სახეზე იყოს მინიმუმ ორი თანაამსრულებელი. რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც დანაშაულის ამსრულებელი სხვა პირის დახმარებით სჩადის დანაშაულებრივ ქმედებას, აღნიშნული ვერ შეფასდება ქმედების ისეთი დამამძიმებელი გარემოებით, როგორცაა ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული. აქედან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის მართებული ამ გარემოებების გათვალისწინებით.

განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას ორი ან მეტი პირის მონაწილეობის შემთხვევაში, მათი როლების გასამიჯნად ქართულ სისხლის სამართალში გამოიყენება ე.წ. დუალისტური მიდგომა. ეს მიდგომა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების პროცესში შესრულებული როლის მიხედვით, თითოეულ მონაწილეს განიხილავს ამსრულებლად ან თანამონაწილედ.

ამ მიდგომისგან განსხვავდება ერთიანი ამსრულებლობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ პირის მიერ ჩადენილი ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან, წარმოადგენს ამ დანაშაულის ამსრულებელს, მიუხედავად ამ დანაშაულის ჩადენაში მის მიერ შეტანილი წვლილისა. დღეს ქართულ სისხლის სამართალში მოქმედებს ე.წ. დუალისტური თეორია.<sup>75</sup>

<sup>74</sup> იხ. ავტორთა კოლექტივი, – სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, პირველი, მეოთხე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 380

<sup>75</sup> იხ. მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2010, გვ.265

თანამსრულებლობის და თანამონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 18 სექტემბრის N2კ-208აპ-03 განჩინება. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, წყალტუბოს რაიონის ერთ-ერთ სოფელში წინასწარი შეთანხმებით ჯგუფმა შეაღწია დაზარალებულების საქონლის სადგომებში და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა მსხვილფეხა პირუტყვი. მსჯავრდებულს ამ ქმედებაში დაეხმარა დამხმარე, რომელმაც ხელი შეუწყო მას ადვილად შეეღწია სადგომებში.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელი დარჩა აღნიშნული განაჩენი. საკასაციო საჩივარში მსჯავრდებული უთითებს, რომ მის მიმართ განაჩენი არაკანონიერია, მას დანაშაული არ ჩაუდენია, მას ეგონა რომ პირუტყვი იყო შესყიდული მოსახლეობისგან კანონიერი გზით. გარდ ამისა მსჯავრდებული განმარტავდა, რომ ქურდობის დროს თავად არ მონაწილეობდა დანაშაულებრივ ქმედებაში, ვინაიდან იგი სადგომში უშუალოდ არ შესულა და გარეთ იდგა, ხოლო ქმედება განახორციელა სხვა თანამსრულებელმა.

სასამართლოს განმარტებით, მსჯავრდებული ადასტურებს, რომ ქურდობაში მონაწილეობდა, თუმცა თვითონ განმარტავდა, რომ სადგომში უშუალოდ არ შესულა. ამ მიმართებით სავსებით სწორია სასამართლოს პოზიცია, რომ ქურდობის თანამსრულებლობა სახეზეა მაშინაც, როცა პირი გარედან ეწევა მეთვალყურეობას და ამ დროს ფაქტიურად ფუნქციონალურად დაკავშირებულია დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების პროცესთან.

ძალიან საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 15 ივნისის განჩინება (საქმე N 2კ-6კოლ-05). საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ხუთი პირი მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რაც გულისხმობს მძევლად ხელში ჩაგდებას, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ანგარებით და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარით.

სისხლის სამართლის საქმის გარემოებების მიხედვით, მსჯავრდებულებმა 2003 წლის იანვრის თვეში წინასწარი შეთანხმებით მოილაპარაკეს, რომ გაეტაცებინათ დაზარალებული ანგარების მოტივით, მძევლად ხელში ჩაგდებით, უკანონოდ აღეკვეთათ მისთვის თავისუფლება და ოჯახისათვის მოეთხოვათ ფულადი თანხა გატაცებული პირის გამოსასყიდის სახით.

2003 წლის იანვარში დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ერთ-ერთი მოქალქისგან შეიძინა ავტომანქანა, რომლითაც წინასწარი შეთანხმებით გატაცებული უნდა გადაეყვანათ წინასწარ ნაქირავებ ბინაში ქალაქ თბილისში. ამასთანავე, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაჰყვებოდნენ დაზარალებულს ნაყიდი ავტომანქანით და სწავლობდნენ დაზარალებულის გადაადგილების მარშრუტს.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ გატაცება უნდა მომხდარიყო დილის საათებში, როდესაც დაზარალებული გაემართებოდა სამსახურში კუთვნილი ავტომანქანით. ჯგუფის წევრები დანაშაულებრივი გაზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით შეიკრიბნენ დაზარალებულის სახლის შორიახლოს და შეარჩიეს ადგილი, სადაც კარგად დაინახავდნენ როგორც დაზარალებულის საცხოვრებელი კორპუსიდან გამოსვლას, ისე მის მიერ ავტომანქანის გამოყვანის ფაქტს. იმ დროს როდესაც დაზარალებული გამოვიდა სახლიდან, ავტომანქანით დანაშაულებრივი ჯგუფის სამი წევრი აედევნა მას და მოსთხოვეს გაეჩერებინათ მანქანა და აჩვენეს პოლიციის თანამშრომელთა ყალბი მოწმობები, თითქოს ისინი იყვნენ პოლიციის თანამშრომლები და იძულებით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების იმიტაციით აიძულეს არ გაეწია მათთვის წინააღმდეგობა.

დაზარალებული ჩასვეს ავტომანქანის უკანა სავარძელზე, თავზე ჩამოაცვეს ქუდი, აუკრეს პირი და იძულებით წაიყვანეს წინასწარ ნაქირავებ ბინაში. ამის შემდეგ, ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა დაურეკა დაზარალებულის მამას და სთხოვა სოლიდური ფულადი თანხის გადახდა 10 დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა შვილის მოკვლით. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დაკავებულ იქნენ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები.

სასამართლო კოლეგიის განაჩენის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო საჩივრებით მიმართეს მსჯავრდებულებმა, რომლებიც ითხოვნდნენ განაჩენის გაუქმებას და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მათ არ ჩაუდენიათ დანაშაული. ორი მსჯავრდებული დანაშაულებრივი ჯგუფიდან ითხოვდნენ განაჩენის გაუქმებას მათ მიმართ და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას მტკიცებულებათა ობიექტურად გამოკვლევის მიზნით.

ბრალდების მხარემ არ დაუჭირა მხარი საკასაციო საჩივარს და მოითხოვა განაჩენის უცვლელად დატოვება. უზენაესმა სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად არ დააკმაყოფილა მსჯავრდებული პირების საკასაციო საჩივრები. სასამართლოს მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიების და უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილია,

რომ მსჯავრდებული პირები ნამდვილად მონაწილეობდნენ დაზარალებულის გატაცებაში, მძევლად ხელში ჩაგდებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში.

„სწორედ ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, განმარტავს სასამართლო – ისინი ახორციელებდნენ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, კერძოდ, მძევლად ხელში ჩაგდების დაგეგმვის, მომზადებისა და სისრულეში მოყვანის მიზნით, შესაბამისად პალატამ არ გაიზიარა მსჯავრდებულებისა და მათი ადვოკატების მიერ წარმოდგენილი პოზიცია, რომლის მიხედვითაც მათ არავითარი ბრალი არ მიუძღვით დაზარალებულის გატაცებასა და მძევლად ხელში ჩაგდებაში. მსჯავრდებული ავითარებს ვერსიას იმის თაობაზე, რომ ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ინსცენირება იყო მძევლად ხელში ჩაგდებისა, რაც განხორციელდა პირადად მასთან შეთანხმებით და მისივე მონაწილეობით, მაგრამ მის ასეთ პოზიციას აქარწყლებდა გარემოება, რომ ბინაში სადაც მსჯავრდებულებს მიყვანილი ჰყავდათ დაზარალებული, ამ უკანასკნელს თავზე ადგა და მეთვალყურეობდა, გარდა ამისა თავისუფლების შესაზღუდად გამოყენებული იყო ხელბორკილები“. აღნიშნულიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ არ იქნა გაზიარებული საკასაციო საჩივრები და უარი ეთქვა მათ დაკმაყოფილებაზე.

თანაამსრულებლობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა 2018 წლის 14 თებერვლის N513აპ–17 განჩინებაში. ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის განაჩენით მსჯავრდებული ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა. ვინაიდან საქმეში ფიგურირებს ორი პირი, მეორე პირი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ ამავე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში, მაგრამ სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მიერ განაჩენები დარჩა უცვლელი. სისხლის სამართლის საქმის გარემოებების მიხედვით, ბრალდებული პირები თავს დაესხნენ ავტომობილში მყოფ პირებს და სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით წაართვეს ფულადი თანხა.

საკასაციო საჩივრის მიხედვით, ბრალდების მხარე ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და ბრალდებულების წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნობას. ბრალდების პოზიციის თანახმად, დაზარალებულები დაიკითხნენ მოწმის სახით, სასამართლოში, რა დროსაც დაადასტურეს დანაშაულის ჩამდენი პირების ამოცნობის ფაქტი. მათ განაცხადეს, რომ მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა საპროცესო და საგამომიებო მოქმედებაში, მათ შორის საგამომიებო ექსპერიმენტში, რა დროსაც გამომძიებელთან ერთად გავიდნენ შემთხვევის ადგილზე და დეტალურად მიუთითეს ის



ადგილები, სადაც მოხდა ყაჩაღობა. გარდა ამისა, ავტომობილის წინა და უკანა სავარძლებიდან აღებული სუნის კვალის ნიმუშები დაემთხვა ბრალდებულებისგან აღებულ სუნის კვალის ნიმუშებს.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საკასაციო საჩივარში ბრალდების მხარე საუბრობს დანაშაულის თანაამსრულებლობით განხორციელების საკითხზე. „ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, საერთო მოქმედებაზე შეთანხმება შესაძლებელია როგორც სიტყვიერად, ისე კონკლუდენტურად. თანაამსრულებლობისათვის არაა აუცილებელი საერთო გეგმის ყოველი დეტალის გათვალისწინება. ერთმანეთის მოქმედების ცოდნა და ცოდნის საფუძველზე მოქმედება ცალსახად მიანიშნებს თანაამსრულებელთა საერთო მიზნის კონკლუდენტურ შეთანხმებასა და საერთო გეგმაზე“. შესაბამისად, ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ დანაშაულში მხილებული პირები ამსრულებლები არიან და სახეზეა ჯგუფური დანაშაული.<sup>76</sup>

დაცვის მხარე საკასაციო საჩივრით ითხოვს ახალი მტკიცებულებების გამოკვლევაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს შესაბამისი განჩინების გაუქმებას, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის წარდგენილ ბრალდებაში გამართლებას და მის დამნაშავედ ცნობას სისხლის სამართლის კოდექსის 360 –ე მუხლის მე-2 ნაწილით.

დაცვის მხარის განმარტებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ვინაიდან მისი დაცვის ქვეშ მყოფი არ იყო ავტომანქანის მესაკუთრე, მას არ გააჩნდა დაზარალებულისათვის ფულადი თანხის მოთხოვნის უფლება. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, მსჯავრდებული მიიჩნია ყაჩაღობის იურიდიული შემადგენლობის სუბიექტად. ამგვარი გარემოების მითითების შემდეგ, „დაცვის მხარეს გაუჩნდა ინტერესი, მოეპოვებინა მტკიცებულებები, რამაც მტკიცების ტვირთის დაცვის მხარის „ვალდებულებაში გადასვლა გამოიწვია“. როგორც ყაჩაღობა, ისე თვითნებობა განზრახი ხასიათის დანაშაულია. ყაჩაღობა მაშინ არის გამოკვეთილი, როდესაც თავდასხმა მიმართულია სხვისი ქონების მისაკუთრებისკენ და არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში. თვითნებობის დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა დამამძიმებელი გარემოებაა. თვითნებობის არეალი მეტად ფართოა.<sup>77</sup>

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მტკიცებულებათა შესწავლის და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შედეგად დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივრები და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის კანონიერი და დასაბუთებული. ბრალდების მხარის საკასაციო საჩივართან მიმართებით სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული

<sup>76</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 თებერვლის N513აპ-17 განჩინება, მე-5 პუნქტი

<sup>77</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 თებერვლის N513აპ-17 განჩინება, მე-7 პუნქტი

მტკიცებულებები სრულად და ობიექტურად შეაფასა და სწორად მიუთითა იმ გარემოებებზე, რომლებიც დანაშაულის ჯგუფურად ჩადენას გამორიცხავდა.

დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხი მნიშვნელოვანია სამოხელეო დანაშაულებში, როდესაც ქმედების შემადგენლობის განხორციელება ხდება რამდენიმე პირის მეშვეობით. ამ კუთხით საინტერესოა სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის (ქრთამის აღება) განხილვა სასამართლო პრაქტიკის ჭრილში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის N128აპ-16 განჩინება ეხება ქრთამის აღების დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხებს.

საქმის გარემოებების მიხედვით, მსჯავრდებულების დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: ერთ-ერთი მსჯავრდებული იყო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოდგილე და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. აღნიშნული პირი ერთ-ერთმა პიროვნებამ გაიცნო მეორე მსჯავრდებულის დახმარებით, რომლისგანაც გაიგო, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იყიდებოდა მიწის ნაკვეთები და მყიდველს დაეხმარებოდა მის შეღავათიანი პირობებით ყიდვაში. 2013 წლის ივლისში აღნიშნული პიროვნება დაუკავშირდა მეორე მსჯავრდებულს და აცნობა, რომ ინვესტორი დაინტერესებული იყო მიწის ნაკვეთის შეძენით და თუ დაეხმარებოდნენ, მისგან მიიღებდნენ ფულად სარგებელს. მსჯავრდებულმა აღუთქვა დაინტერესებულ პირს დახმარება, იგი დაუკავშირდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს და უთხრა აღნიშნულის შესახებ. ამ უკანასკნელმა დაუდასტურა რომ მას შეეძლო საკითხის მოგვარებაში დახმარება და უთხრა, რომ გასაყიდი იყო 6000 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი და შეეძლო მოგვარებინა ისე, რომ ეყიდა შეღავათიანი პირობებით. კერძოდ, თუ საბაზრო ღირებულება იყო 120 აშშ დოლარი, იგი 1 კვ. მიწის ნაკვეთს გაყიდიდა 55 ლარად. დახმარების სანაცვლოდ მსჯავრდებულმა მოითხოვა 20 ლარის გადახდა 1 კვ. მეტრზე, რაც შეადგენდა 120 000 ლარს. თუმცა მას თანხასთან დაკავშირებით ინვესტორთან არანაირი ურთიერთობა არ უნდა ჰქონოდა. აქედან გამომდინარე დაინტერესებული პირი სწორედ დამხმარეს შეხვდა რამდენჯერმე, სადაც გაიმართა საუბარი ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო 2013 წლის ივლისის თვეში მას გადასცა თანხის ნაწილი 30 000 ლარი მსჯავრდებულისთვის გადასაცემად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საკრებულოს თავმჯდომარი ს მოადგილის ქმედება გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებიდან სისხლის სამართლის კოდექსის 339<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილზე. ასევე შეიცვალა აღნიშნულ დანაშაულში დამხმარის ქმედების კვალიფიკაცია და სისხლის სამართლის კოდექსის 25,338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 25, 339<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილზე. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო სასამართლოს მიერ დარჩა უცვლელი.

ბრალდების მხარე საკასაციო საჩივრით ითხოვდა საპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებული პირების ქმედებების თავდაპირველი კვალიფიკაციით დასჯას, რაც გულისხმობდა არა ზეგავლენით ვაჭრობას, არამედ ქრთამის აღებას. დაცვის მხარის ადვოკატები კი საკასაციო საჩივრებით ითხოვნდნენ მსჯავრდებულების სრულად გამართლებას.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და დაადგინა, რომ მსჯავრდებული პირების ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, ხოლო დაცვის მხარის საკასაციო საჩივრები არ დააკმაყოფილა. საკასაციო პალატა აღნიშნულ განჩინებაში ყურადღებას ამახვილებს ქრთამის აღების და ზეგავლენით ვაჭრობის დანაშაულებში თანამონაწილეობის საკითხებზე და საინტერესო განმარტებებს აკეთებს.

სასამართლო არ ეთანხმება მსჯავრდებულების ქმედებების იმ სამართლებრივ შეფასებებს, რაც მოცემულია სააპელაციო სასამართლოს განაჩენში. სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მსჯავრდებულ პირს, რომელიც იყო მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოხელე ჩადენილი აქვს არა ზეგავლენით ვაჭრობა, არამედ ქრთამის აღება, ესე იგი მოხელის მიერ პირდაპირ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოთხოვნა თავის სასარგებლოდ, რათა მას თანამდებობრივი უფლებამოსილების შესრულებისას სხვა პირის სასარგებლოდ განეხორცილებინა ქმედება და გამოეყენებინა თავისი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, ხოლო მეორე პირს ჩადენილი აქვს იმავე დანაშაულში თანამონაწილეობა დამხმარის სახით.<sup>78</sup>

საკასაციო სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა მათ მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება. „საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ამგვარ დასაბუთებებს მსჯავრდებულთა ქმედებებში ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობის ნიშნების არსებობის თაობაზე, რადგან ის არ შეესაბამება ერთი მხრივ ქრთამის აღებისა და მასში თანამონაწილეობის, ხოლო მეორე მხრივ ზეგავლენით ვაჭრობისა და მასში თანამონაწილეობის არსის მართებულ განსაზღვრას. საკასაციო პალატა განმარტავს: მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დანაშაულები თითქოს ერთმანეთს ჰგავს, ამავე დროს ისინი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქრთამის აღების სუბიექტია მხოლოდ მოხელე, რომელიც ქრთამის სანაცვლოდ სხვა პირის კანონიერი თუ უკანონო ინტერესების სასარგებლოდ იყენებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას. რაც შეეხება ზეგავლენით ვაჭრობას, ამ დანაშაულის სუბიექტი, როგორც წესი, არ არის მოხელე. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს დანაშაული ჩაიდინოს მოხელემაც, მაგრამ არა თავისი სამსახურებრივი

<sup>78</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის N128აპ-16 განჩინების მე-13 პუნქტი

უფლებამოსილების, არამედ საჯარო სამსახურში მყოფ სხვა მოხელეებთან მისი პირადი ურთიერთობების გამოყენებით. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი მოხელე ვინმეს სასარგებლოდ სხვა მოხელეზე ზეგავლენის მოსახდენად იყენებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას და ამის სანაცვლოდ ის შესაბამის საზღაურს ან სხვა სარგებელს მოითხოვს ანდა მას ასეთს პირდებიან, ადგილი აქვს ქრთამის აღებას და არა ზეგავლენით ვაჭრობას. გარდა აღნიშნულისა, ქრთამის აღებისას მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი ქრთამის სანაცვლოდ უშუალოდ თვითონ ახორციელებს შესაბამის ქმედებას ქრთამის გამცემის სასარგებლოდ, ხოლო ზეგავლენით მოვაჭრეს არ გააჩნია შესაძლებლობა სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. ასეთი პირი მხოლოდ თავისი პირადი დამოკიდებულებების გამოყენებით აღწევს იმ პირისათვის სასურველ შედეგს, რომლის სასარგებლოდაც ის მოქმედებდა.“<sup>79</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე თავში განხილული გადაწყვეტილებები არის იმის ნათელი დადასტურება, რომ თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის საკითხთან მიმართებით სისხლის სამართლის პრაქტიკაში არსებობს პრობლემები ქმედების სწორი კვალიფიკაციის კუთხით.

#### **4. თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის თეორიები**

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის თეორიები, გამოიყოს მათი ძირითადი ნიშნები და მახასიათებლები და შეფასდეს ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის საკითხი.

##### **4.1. სუბიექტური თეორია**

---

<sup>79</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის N128აპ-16 განჩინების მე-17 პუნქტი

სუბიექტური თეორიის მიხედვით ამსრულებელია ის, ვინც მოქმედებს საკუთარი ნებით და ახორციელებს კონკრეტულ ქმედებას, როგორც საკუთარს.<sup>80</sup> სუბიექტური თეორიის დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი არ ტოვებს ადგილს წამქეზებლის სამართლებრივი ფიგურისათვის, ვინაიდან წამქეზებელი დაინტერესებულია ქმედებით და მასაც ასევე სურს ქმედება, როგორც საკუთარი. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ამსრულებელი იგივე წამქეზებელია, რაც რეალურად ასე არ არის და სუბიექტური თეორიის ნაკლიც სწორედ ამაში მდგომარეობს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა ამსრულებლის ცნების ფართოდ განმარტების საშუალებას. შესაბამისად, ხსენებული თეორია არ უნდა იყოს გაზიარებული, ვინაიდან იგი შლის ყოველგვარ ზღვარს ამსრულებელსა და თანამონაწილის სამართლებრივ ფიგურებს შორის, კერძოდ, ამსრულებელსა და წამქეზებელს შორის.

#### 4.1.2. ფორმალურ–ობიექტური თეორია

სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებობს ფორმალურ–ობიექტური თეორია, რომლის მიხედვითაც, ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ახორციელებს ქმედების შემადგენლობას ან მის ნაწილს, ხოლო თანამონაწილეა ის, ვინც დანაშაულის შემადგენლობის განსახორციელებლად მოსამზადებელ ქმედებებში იღებს მონაწილეობას, ან სხვა ფორმით უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენაში.<sup>81</sup>

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ თეორიას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ვინაიდან ფორმალურ–ობიექტური თეორია ორიენტირებულია ქმედების შემადგენლობის საკუთარი ხელით განხორციელებაზე, რაც ადგილს არ ტოვებს შუალობითი ამსრულებლის სამართლებრივი ფიგურისთვის.<sup>82</sup>

თუმცა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ფორმალურ–ობიექტური თეორია არ გამორიცხავს პირის ქმედების შუალობითი ამსრულებლობით კვალიფიკაციის შესაძლებლობას, როდესაც

---

<sup>80</sup> იხ. ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015, გვ. 28

<sup>81</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი–ჭედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 69

<sup>82</sup> იხ. ქეთევან მჭედლიშვილი–ჭედრიხი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 145

ამსრულებელი მოქმედებს ე.წ. „ცოცხალი იარაღის“ გამოყენებით. აქედან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ შუალობითი ამსრულებლობის სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი არ ეწინააღმდეგება ფორმალურ–ობიექტური თეორიის პრინციპებს.

#### 4.1.3. მატერიალურ–ობიექტური თეორია

მატერიალურ–ობიექტური თეორია არის მნიშვნელოვანი იმ კუთხით, რომ ის მიჯნავს ამსრულებელსა და თანამონაწილეს მათ მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათის და თითოეულის მიერ შეტანილი წვლილის მიხედვით დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში. მატერიალურ–ობიექტურმა თეორიამ ხელი შეუწყო ე.წ. ქმედებაზე ბატონობის თეორიის ჩამოყალიბებას. აღნიშნული თეორიის მიხედვით, თანამსრულებელია ის პირი, რომელიც შეიძლება უშუალოდ არ ახორციელებს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ ფუნქციონალურად კავშირშია დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების პროცესთან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა უმეტეს შემთხვევაში არ იზიარებს ფუნქციონალური ამსრულებლობის საკითხს და გადაწყვეტილებას იღებს თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის მარეგულირებელი სისხლისსამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

#### 5. მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნა ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის დროს

დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტების ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში, თუ პირის ქმედება არ გასცდება დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას შორის არსებულ ზღვარს და დარჩება მხოლოდ მომზადების სტადიაზე, იგი ვერანაირად ვერ ჩაითვლება თანამსრულებლად, ვინაიდან მას არ განუხორციელებია ქმედების შემადგენლობის არც ერთი ნიშანი. იმ შემთხვევაში, თუ პირი ახორციელებს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნებს და იგი გასცდება მომზადების სტადიას, მისი ქმედება თანამსრულებლობად უნდა დაკვალიფიცირდეს.

დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნას აქვს დიდი პრაქტიკული დატვირთვა და მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობდეს ერთიანი და ჩამოყალიბებული პოზიცია სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში, რაც ხელს შეუწყობს თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის პრობლემის გადაწყვეტას.

იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ დანაშაულის მომზადებით არ იწყება ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება. მომზადების არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის ისეთი ქმედება, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულის ჩადენას ან აადვილებს მას. მომზადების დროს ჯერ კიდევ არ არის დაწყებული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება<sup>83</sup>.

რაც შეეხება მცდელობას, ამ დროს პირის მიერ უკვე დაწყებულია ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, რაც კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს უქმნის იმწუთიერ საფრთხეს. მცდელობის დროს პირის ქმედება უშუალოდ არის მიმართული დანაშაულებრივი შედეგის დადგომისკენ. აქედან გამომდინარე, დანაშაულის მცდელობა ცალსახად წარმოადგენს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას.

## **6. თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის გამიჯვნის პრობლემის გადაჭრის გზები**

როგორც უკვე აღინიშნა თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხის გადაწყვეტას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ქმედების სწორი კვალიფიკაციის კუთხით. სწორედ ამიტომ, ყოველი კონკრეტული ქმედების განხორციელების დროს უნდა დადგინდეს თუ რა წვლილი შეიტანა პირმა ქმედების განხორციელებაში, რამდენად შეიძლება იგი ჩაითვალოს ამსრულებლად, თანაამსრულებლად. ასევე, სახეზე არის თუ არა თანამონაწილეობა და პირის მხრიდან ადგილი აქვს თუ არა ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის ნიშნებს.

ქართულ სისხლის სამართალში თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხი პრობლემურია. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს იმის დადგენა თუ რა შემთხვევაშია თანამონაწილეობა და რა შემთხვევაში თანაამსრულებლობა, მნიშვნელოვანია კონკრეტული ქმედების ფარგლების განსაზღვრა პირის მიერ განხორციელებული ქმედების შემადგენლობის ჩადენისას.

<sup>83</sup> იხ. ნ. თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2018, გვ. 336

## 7. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხი პრობლემურია სისხლის სამართლის პრაქტიკაში, რასაც ადასტურებს წინამდებარე ნაშრომში მოცემული საქმეები სასამართლო პრაქტიკიდან, რომელმაც თვალსაჩინო გახადა თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის პრობლემა.

აღნიშნული საკითხის სწორად გადაწყვეტას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც ქმედების სწორი კვალიფიკაციის, ისე სასჯელის განსაზღვრის კუთხით, ვინაიდან თუ სწორად არ მოხდა კონკრეტული ქმედების კვალიფიკაცია, გამორიცხულია მოხდეს სასჯელის სწორად შეფარდება, რაც წინააღმდეგობაში მოდის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მიზნებთან. ასევე მნიშვნელოვანია დადგინდეს პირის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და კავშირი სხვა პირების მიერ ჩადენილ ქმედებებთან.

საკითხის სწორად გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს რამდინეზე გარემოებაზე. კერძოდ, აუცილებელია დადგინდეს ჩადენილ ქმედებასა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი და ბრალის არსებობა. თუმცა, ყველაზე მთავარია ზუსტად განისაზღვროს პირის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი, რაც უშუალო კავშირშია ქმედების კვალიფიკაციასთან. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე თუ კონკრეტული ქმედების ჩადენის დროს პირს რა ტიპის შემხებლობა ჰქონდა ქმედების შემადგენლობასთან, რამდენად აქტიურად მოქმედებდა იგი, ასრულებდა თუ არა ქმედებას უშუალოდ, იყო თუ არა თანაამსრულებელი, ასევე ასრულებდა თუ არა თანამონაწილეობისათვის დამახასიათებელ რომელიმე ქმედებას.

ამრიგად, ისეთ შემთხვევებში თუ პირი უშუალოდ აქტიურად არ ახორცილებს ქმედების შემადგენლობას, არამედ ხელმძღვანელობს მის ჩადენას, აქეზებს დანაშაულის ჩასადენად ან ხელს უწყობს ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში, სახეზე გვაქვს თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული და არა თანაამსრულებლობა. თანამონაწილე არ არის ქმედების შემადგენლობის მთავარი ფიგურა, ვინაიდან იგი არ არის ის სუბიექტი, რომელმაც უშუალოდ განახორციელა დანაშაულებრივი შედეგი.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში მიმოხილული იყო საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხი, სადაც არერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ისე დოქტრინაში.



გარდა ამისა, წინამდებარე ნაშრომში მიმოხილული საქმეების ანალიზმა ქართული სასამართლო პრაქტიკიდან კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის პრაქტიკული სირთულები, რითაც გამოჩნდა, რომ ხსენებული საკითხის სწორად გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს სამართალშეფარდების პროცესში.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში განხილული სასამართლო გადაწყვეტილებების, იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებების და სხვა ქვეყნების სამართლებრივი სისტემების ანალიზის შედეგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხი პრობლემურია პრაქტიკული თვალსაზრისით. იმისათვის, რომ პრაქტიკაში სწორად მოხდეს ქმედების კვალიფიკაცია, კონკრეტულ შემთვევაში, აუცილებელია ყურადღება მიექცეს ქმედების შემადგენლობის განხორციელებასა და ქმედების განმახორციელებელ სუბიექტს, რადგან ნებისმიერი პირი, რომლის ქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგთან, მიიჩნევა ამსრულებლად მიუხედავად მის მიერ დანაშაულის განხორციელებაში შეტანილი წვლილისა. არ უნდა იქნას გაზიარებული იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ყველა პირი კონკრეტული დაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს თანაამსრულებელია, მიუხედავად მისი როლისა და დანაშაულებრივი ქმედების ხასიათისა. ამდენად, თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის გამიჯვნასთან დაკავშირებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნათა მიხედვით, ქმედების უშუალო განმახორციელებლის მოცულობა და როლი განსაზღვრავს ქმედება თანაამსრულებლობით არის ჩადენილი თუ თანამონაწილეობით. ასეთ შემთხვევაში სახეზეა განსახვავებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თანაამსრულებლობის და თანამონაწილეობის გამიჯვნის პრობლემის სწორად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სასამართლოს მიერ ქმედების სწორ კვალიფიკაციას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას.

ბიბლიოგრაფია:

**ნორმატიული მასალა:**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, „რომის სტატუტი“

**ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა**

1. გამყრელიძე ოთარ, – სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემები და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, სისხლის სამართლის პრობლემები, მეორე გამოცემა, მეორე ტომი, თბილისი, 2013;
2. გამყრელიძე ოთარ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, თბილისი, 2005;
3. გამყრელიძე ოთარ, სისხლის სამართლის პრობლემები, პირველი ტომი, 2011;
4. გამყრელიძე ოთარ – დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბილისი 1974 წელი;
5. თოდუა ნონა – სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები) თბილისი, 2015;
6. მჭედლიშვილი ჰედრიხი ქეთევან – დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011;
7. ტურავა მერაბ – სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2014 წელი;

8. წერეთელი თინათინ – თანამონაწილეობა დანაშაულში, თბილისი, 1965 წელი;
9. გამყრელიძე ოთარ – დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, თბილისი, 1974 წელი;
10. გამყრელიძე ოთარ – სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ზოგადი ნაწილი, 2008 წელი;
11. წერეთელი თინათინ – ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „თბილისი“, 2011 წელი;
12. ლომსაძე მალხაზ, – სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,, თბილისი, 2011 წელი;
13. დონჯაშვილი თამაზ – საქართველოს სისხლის სამართალი –ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2002 წელი;
14. ტურავა მერაბ – დანაშაულის მოძღვრება, „ბონა კაუზა“, თბილისი, 2010 წელი;
15. თოდუა ნონა – სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2018 წელი;
16. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, პირველი, მეოთხე გამოცემა, თბილისი, 2011 წელი.

#### **სადისერტაციო ნაშრომი:**

1. გვენცაძე ელენე – დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე, თბილისი, 2014 წელი;
2. „დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით“, თბილისი, 2017

#### **სამეცნიერო სტატია:**

1. დგებუაძე გიორგი, არაპირდაპირი თანაამსრულებლობის დოქტრინა, საერთაშორისო სისხლის სამართალში, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2012, N3(4);
2. თანაამსრულებლობის დასაბუთება მოქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობით, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2016, გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, ავტორი ანრი ოხანაშვილი;
3. ორგანიზებული დანაშაულებების თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გურამ ნაჭყებია, თბილისი, 2012.

#### **სასამართლო გადაწყვეტილებები:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 15 მაისის განჩინება N880აპ-19;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 14 თებერვლის N513აპ-17 განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივლისის N128აპ-16 განჩინება;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ივლისის N128აპ-17 განჩინება;
5. სასამართლოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2003 წლის 18 სექტემბრის N2კ-208აპ-03 განჩინება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 15 ივნისის განჩინება (საქმე N 2კ-6კოლ-05).

#### უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა:

1. Roxin Claus Täterschaft und Tatherrschaft, 9. Aufl. 2015, S. 107 ff;
2. International Criminal Law, Antonio Cassese, Publisher – Oxford University, Press, 2003.

#### ელექტრონული რესურსები:

[https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1953#\\_ftn74](https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1953#_ftn74)